645
1970

ეროვნული ბიბლიოთეკა




# საქართველოს ქალი

აპრილი
№ 4 1970 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭიათურა. მარგანეცის გადაზიდვა ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროდან          ფოტო დ. იაკობაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა




პოლონელი მხატვრების იაკუბ ეროლისა და პაველ უდოროვეცკის
პლაკატი „ლენინიზმი ჩვენი ეპოქის უძლეველი დროშაა“.

11.308

1870

100

1970



# ლენინური დეკრეტები

რკპ (ბ) XI ყრილობაზე ვ. ი. ლენინი თავის მოხსენებაში მიუთითებდა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტების მნიშვნელობაზე და აღნიშნავდა: „უბრალო მუშასა და გლეხს ჩვენ ერთბაშად ვაცნობდით ჩვენს შეხედულებებს პოლიტიკაზე დეკრეტების ფორმით. ამის შედეგი იყო იმ უდიდესი ნდობის მოპოვება, რომელიც ჩვენ გვქონდა და გვაქვს ხალხის მასებში. ეს იყო დრო, ეს იყო ხანა, რომელიც აუცილებელი იყო რევოლუციის დასაწყისში, უამისოდ ჩვენ სათავეში ვერ ჩავუდგებოდით რევოლუციურ ტალღას, და კუდში ჩანჩალს დავიწყებდით. უამისოდ ჩვენდამი ნდობა არ ექნებოდა ყველა მუშასა და გლეხს, რომელთაც სურდათ ცხოვრების ახალ საფუძვლებზე აშენება“ (თხზ. ტ. 33, გვ. 356).

საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი დეკრეტების ინიციატორი და ავტორი იყო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ლენინი. სხვა დეკრეტებიც კი მისივე ხელმძღვანელობით იქნა შედგენილი.

პროლეტარული სახელმწიფოს მხარეზე ქალაქისა და სოფლის მშრომელთა გადმოყვანის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს მსოფლიო მნიშვნელობის დეკრეტებმა ზავისა და მიწის შესახებ. ეს დეკრეტები დაწერა ვ. ი. ლენინმა და მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს).

ზავის შესახებ დეკრეტით საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას, სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას.

მიწის შესახებ დეკრეტით გაუქმდა მემამულეთა საკუთრება მიწაზე. მიწა გადადიოდა მშრომელ გლეხთა სარგებლობაში, მისი არც ყიდვა და არც გაყიდვა შეიძლებოდა. ამით ეკონომიური საფუძველი ჩაეყარა მუშებისა და მშრომელ გლეხთა კავშირს და მომზადდა პირობები სოფლის მეურნეობის თანდათან გადასასვლელად სოციალიზმზე.

მალე გამოქვეყნდა დეკრეტები, რომლითაც გაუქმდა წოდებანი, შემოღებულ იქნა 8-საათიანი სამუშაო დღე, დაწესდა მუშათა კონტროლი პროდუქტების საზოგადოებრივ წარმოებასა და განაწილებაზე და სხვ.

ღირსშესანიშნავ ნიშანსვეტებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში წარმოადგენდა ისტორიული დეკლარაციები — „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“ „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“.

პირველი დეკლარაცია 1917 წლის 8 (16) ნოემბერს გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ხელმოწერით. აღნიშნულ დეკლარაციაში მოცემული იყო საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის საფუძვლები, გამოცხადებული იყო, რომ საბჭოთა ქვეყანაში აღარ არიან გაბატონებული და ჩაგრული ერები, ყველა ერს მიენიჭა თავისუფალი განვითარების, თვითგამორკვევის, გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის თანაბარი უფლებანი. ამ დეკლარაციით დასაბამი მიეცა ყველა ერის თავისუფალ განვითარებას.

„მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“ ვ. ი. ლენინის კალამს ეკუთვნის. იგი მიღებულ იქნა 1918 წლის 12 (25) იანვარს სრულიად რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობაზე. დეკლარაციაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი განმტკიცებულ იყო კანონმდებლობით. მასში გამოცხადდა სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები და ამოცანები. ეს დეკლარაცია წარმოადგენდა პირველი საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გადაჭრა ქალთა საკითხი. მსოფლიო ისტორიაში პირველად საბჭოთა რუსეთში ბოლო მოეღო ქალთა უთანასწორობას. მოხდა ქალთა უფლებრივი გათანაბრება მამაკაცებთან, რამაც კანონმდებლობითი განმტკიცება ჰპოვა პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში. ქალებს მიეცათ მამაკაცებთან თანაბარი უფლება სამეურნეო, სახელმწიფოებრივი, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყოველ დარგში. კომუნისტურმა პარტიამ გაშალა მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელ ქალთა შორის და გამოიყვანა ისინი ოჯახური კარჩაკეტილობიდან სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ფართო ასპარეზზე. ამავე დროს ყურადღება მიექცა ქალთა შრომის დაცვას. 1918 წლის დეკემბრის დამდეგს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა კოდექსი შრომის კანონების შესახებ. მასში სპეციალური პუნქტებია შეტანილი ქალთა შრომის დაცვის შესახებ: როგორიცაა, ქალთა დეკრეტული შვებულებები, ქალთა შრომის გამოყენების აკრძალვა ღამის, მძიმე და საზეგანაკვეთო სამუშაოებზე, ორსულ ქალთათვის დახმარების მიცემისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვილ ბავშვთა დედებისათვის წარმოება-დაწესებულებებში დამატებით დასვენების საათების შემოღების შესახებ. ლენინურ დეკრეტებში ნათელ გამოხატულებას ჰპოვებდა ქალთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე და ზრუნვა ბავშვთა კეთილდღეობისათვის.

როგორც ცნობილია, სამოქალაქო ომის ქარცეცხლიან დღეებში რუსეთის მთელი რიგი გუბერნიების მშრომელი მოსახლეობა შიმშილობას განიცდიდა. კვების ნაკლებობამ გამოიწვია დაავადებანი. 1918 წლის 14 სექტემბერს მიღებულ იქნა დეკრეტი ბავშვთა კვების გაძლიერების შესახებ. დეკრეტი მიზნად ისახავდა ბავშვთა დაცვას მთელი რიგი დაავადებებისაგან, რაც გამოწვეული იყო კვების ნაკლებობით. სახკომსაბჭოს დეკრეტში ნათქვამია, ბავშვთა კვება პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს და მშრომელთა ბავშვებისათვის გაცემულ უნდა იქნეს პირველი კატეგორიის ულუფაო. 1918 წლის 28 სექტემბერს კვლავ გამოიცა დეკრეტი ბავშვთა კვების შესახებ, რომლითაც ადგილებზე შეიქმნა „ბავშვთა კვების ფონდი" და ასიგნებულ იქნა თანხა 50 მილიონი მანეთის რაოდენობით. 1919 წლის 4 თებერვლის სახკომსაბჭოს დეკრეტით შეიქმნა საბჭო ბავშვთა დასაცავად.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ბოლო მოუღო რუსეთის ხალხთა მასების უცოდინარობასა და სიბნელეს. კაცობრიობის ისტორიაში პირველად მიეცათ მუშებსა და გლეხებს რეალური შესაძლებლობა მიეღოთ ყოველმხრივი განათლება. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიზნად დაისახეს გარდაექმნათ სკოლა ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის იარაღიდან საზოგადოების კლასებად დაყოფის მოსპობის იარაღად, საზოგადოების კომუნისტურად გარდაქმნის იარაღად. განათლების საქმე დაეკისრა განათლების სახალხო კომისარიატსა და განათლების სახალხო კომისიას. 1918 წლის 20 იანვარს (2 თებერვალს) სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ, რომლის მნიშვნელოვანი დებულებები ვ. ი. ლენინის მიერ იყო ჩამოყალიბებული. აღნიშნული დეკრეტით კაცობრიობის ისტორიაში პირველად ნამდვილად განხორციელდა სინდისის თავისუფლება და მან უდიდესი ზეგავლენა მოახდინა საბჭოთა ხალხის პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაზე, ახალგაზრდა თაობის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. იგი წარმოადგენდა კულტურული რევოლუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას.

1919 წლის 26 დეკემბერს სახკომსაბჭომ ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოსცა დეკრეტი მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. მალე მთელი საბჭოთა რუსეთი დაიფარა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებით. განათლების დარგში გამოცემულმა ლენინურმა დეკრეტებმა ფართო ასპარეზი გაუხსნა საბჭოთა სახელმწიფოში სწავლა-განათლების საქმეს. სკოლებში სწავლება შემოღებულ იქნა მშობლიურ ენაზე, სწავლა უფასო გახდა, დამყარდა სწავლების განუყრელი კავშირი საზოგადოებრივ-საწარმოო შრომასთან.

საბჭოთა სახელმწიფომ თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ერთ-ერთ პირველ დეკრეტს ამ დარგში წარმოადგენდა დეკრეტი საავადმყოფოს სალაროებისათვის სამკურნალო დაწესებულებათა საწარმოების უფასოდ გადაცემის შესახებ, რომელიც 1917 წლის 14 (27) ნოემბერს მიიღო სახკომსაბჭომ და გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის ხელმოწერით. 1918 წლის 14 აგვისტოს გამოქვეყნდა დეკრეტი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ, რომელსაც დაეკისრა ჯანმრთელობის საქმის ხელმძღვანელობა.

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მიზნად დაისახეს ისეთი ფართო გამაჯანსაღებელი და სანიტარული ღონისძიების განხორციელება, რომელთა მიზანი იყო დაავადებათა განვითარების თავიდან აცილება. განხორციელდა სამკურნალო დაწესებულებების, სააფთიაქო საქმისა და კურორტების ნაციონალიზაცია, დაწესდა უფასო მკურნალობა და სხვ.

სახკომსაბჭომ აგრეთვე მთელი რიგი დეკრეტები გამოსცა, რომლებიც მშრომელ ხალხთა სოციალური უზრუნველყოფის საქმეს შეეხებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი ლენინური დეკრეტები ფართოდ ვრცელდებოდა მთელს რუსეთში, გავრცელდა საქართველოშიც. ამ დროს საქართველოს მშრომელი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდრეკლად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. საქართველოში გამომავალ ბოლშევიკურ გაზეთებში ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე ქვეყნდებოდა ლენინური დეკრეტები, რომლებიც მშრომელებზე უდიდეს გამარევოლუციურებელ გავლენას ახდენდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პარტია და ხელისუფლება ხელმძღვანელობდნენ სოციალიზმის იდეის პროპაგანდის ერთ-ერთი მძლავრი იარაღით — ლენინური დეკრეტებით და აშენებდნენ სოციალისტურ საზოგადოებას. ახლა, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში სახალხო მეურნეობის, კულტურისა და სხვა დარგებში, პარტიის ხელმძღვანელობით, წარმატებით სრულდება ლენინური ისტორიული დეკრეტები.

ზინა გეგეშიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

# „ავრორას" ზალპი

შეაბარბაცა დედამიწა
„ავრორას" ზალპმა,
ციდან ცას გაწვდა მეხთატეხის
ძალუმი ელვა,
ნევის ქალაქში ავარდნილმა
ოქტომბრის ქარმა
მილიონობით დამაშვრალთა
დააცხრო ღელვა.
დანისლულ ცის ფერს
დაეკარგა სიმშვიდე დილის,
წინ წადგა მუშა
სახელიმილგადაფენილი,
— კაცობრიობა დღეის შემდეგ
სულ სხვა გზით ივლის
და მას მეგზურად ეყოლება დიდი
ლ ე ნ ი ნ ი!

რაისა შენგელია,
პედაგოგი.

ალიო მირცხულავა

# ლენინი

შენ ჩამოგვშორდი, ბელადო ლენინ,
და ქვეყანაზე ობლად დაგვტოვე,
გადაეფარა ტრაური — ბნელი
კაცობრიობის სხვადასხვა ტომებს!

გლოვობს თბილისი, მოსკოვი, კრემლი,
დროშებმაც თავი დახარეს დაბლა,
სიკვდილი, ნათელ სიცოცხლის ნგრევით,
ჩვენს ალმაფრენას დაეცა დამბლად!

მაგრამ, ო, არა! არ გვინდა ცრემლი,
შენ ჩვენთვის ეს არ გიკარნახია,
ვჯავრობთ საჯაროდ და სიკვდილს
ვწყევლით,
რომ თავზე გვახვევს ფიქრებს ნაღვლიანს.

შენ მოკვდი, მაგრამ ჩვენთან იცხოვრებ,
გფიცავთ შენივე აზრებს, ანდერძებს,
ჩვენთან იშრომებ, ჩვენთან იბრძოლებ
მთებში, ქარხნებში, ბარიკადებზე!

გფიცავთ: შენს დროშას ვატარებთ მაღლა,
დავეხმარებით შრომისგან დაღლილთ,
ლენინ! შენს თვალებს ჩვენ არ
დავმარხავთ,
ლენინ! შენს შუბლზე მიწას არ დავყრით!

შენ თვალებიდან ცეცხლი გცვიოდა,
შიგ ახლაც ღელვა და სამუმია,
დე, შეინახოს კაცობრიობამ
შენი სხეული, როგორც მუმია!

გაივლის ჟამი მტვრევით, ხმაურით,
სულ სხვანაირი მოვა ცხოვრება,
მოვა სხვა ხალხი და სიყვარულით
შენს უკვდავ სახეს ეამბორება!

1924 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი ნ. ჟუკოვისა

# ვ. ი. ლენინის თანამებრძოლი, მეუღლე და მეგობარი

ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ რევოლუციონერ ქალთა პლეადის ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე გვერდში ედგა ვ. ი. ლენინს, როგორც მისი ერთგული თანამებრძოლი, მეუღლე და მეგობარი.

ოქტომბრის რევოლუციამდე ნ. კრუპსკაია ეწეოდა დიდ პარტიულ და ორგანიზატორულ მუშაობას. მისი ხელით წარმოებდა საზღვარგარეთიდან ვ. ი. ლენინის მთელი მიმოწერა. იგი იყო ჯერ „ისკრის“ და შემდეგ „ვპერიოდის“ რედაქციების მდივანი.

ნ. კრუპსკაიას აღელვებდა მშრომელი ქალის ბედი, დიდი დაკვირვებით სწავლობდა და ახლო ეცნობოდა ქალთა მდგომარეობას. ჯერ კიდევ 1899 წელს, გადასახლებაში, ვ. ი. ლენინის რჩევით, მან დაწერა თავისი პირველი წიგნი „მუშა-ქალი“, რომელიც დაიბეჭდა 1901 წელს ჟენევაში. ეს იყო პირველი მარქსისტული შრომა კაპიტალისტური სამყაროს მუშა ქალთა მდგომარეობაზე.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ბოლო მოუღო რა ქალთა უუფლებობას, კანონმდებლობით განამტკიცა და საბჭოთა კონსტიტუციით ქალი მამაკაცს გაუთანასწორა სახელმწიფოებრივ, სამეურნეო, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქალთა განათლება, მათი ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში, სოციალისტურ მშენებლობაში ნ. კრუპსკაიას ერთ დიდ და უპირველეს საზრუნავ საქმედ იქცა.

ნ. კრუპსკაია თანმიმდევრულად ახორციელებდა ქალთა განთავისუფლებისათვის მიღებულ ლენინურ დეკრეტებს, ღონისძიებებს სახავდა საბავშვო ბაგების, საბავშვო ბაღების, სასადილოების, სამრეცხაოების, სარემონტო სახელოსნოების ასაგებად, რათა ქალს შემსუბუქებოდა ოჯახური შრომა და დარჩენოდა დრო საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

ნ. კრუპსკაია ქალთა შორის მომუშავეთაგან მოითხოვდა გაცნობოდნენ წარმოებაში ჩაბმულ მუშა ქალებს, განსაკუთრებით შუახნის ქალებს, ყურადღებით მოესმინათ მათი აზრი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე და მხედველობაში მიეღოთ მათი წინადადებები.

ნ. კრუპსკაია ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი იყო 1914 წელს ვ. ი. ლენინის ინიციატივით დაარსებულ ჟურნალ „რაბოტნიცასი“ და შემდეგ — რედაქტორი ჟურნალ „კომუნისტკასი“. ამ ჟურნალების ფურცლებზე შუქდებოდა ქალთა შრომისა და ცხოვრების მრავალი საჭირბოროტო საკითხი.

ნ. კრუპსკაიას დიდი მიმოწერა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მშრომელებთან და მათ შორის მუშა და კოლმეურნე ქალებთან. მარტო 1938 წლის განმავლობაში ნ. კრუპსკაიამ მიიღო და პასუხი გასცა მშრომელთა 2.500 წერილს. მას ახარებდა მუშა ქალთა დაწინაურება, მთავრობის ჯილდოებით მათი დაჯილდოება და სხვ.

ნ. კრუპსკაია ახალგაზრდობიდანვე დაინტერესებული იყო პედაგოგიური მუშაობით. საზღვარგარეთ, ემიგრაციაში, იგი სწავლობდა უცხოეთის სკოლების ცხოვრებისა და თეორიის საკითხებს. 1915 წელს დაწერა შრომა „სახალხო განათლება და დემოკრატია“, რომელიც დაიბეჭდა 1917 წელს. ეს პირველი წიგნია, რომელშიც მარქსისტულად არის გაშუქებული შრომითი აღზრდისა და პოლიტიკური განათლების საკითხები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ნ. კრუპსკაია მუშაობას იწყებს განათლების სახალხო კომისარიატში, იყო განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და განათლების მინისტრის მოადგილე, 1920 წლიდან განაგებდა აგრეთვე პოლიტიკური განათლების სამმართველოს.

მთელ თავის ნაყოფიერ მოღვაწეობაში ნ. კრუპსკაია ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის დეკრეტებით, მითითებებითა და რჩევით. მას თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის სრულასაკოვანი მოსახლეობის განათლების საქმეში.

პარტიის X ყრილობამ პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს დააკისრა დიდი და პასუხსაგები ამოცანა — კომუნიზმის იდეების პროპაგანდა ხალხში. ნ. კრუპსკაიას ხელმძღვანელობით გაიშალა პოლიტსაგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა პროფკავშირებში, კომკავშირში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მოეწყო გამოცემა ჟურნალებისა, ბიულეტენებისა და ა. შ.

ცნობილია, რომ მეფის რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ამიტომ 1919 წლის დეკემბერში ვ. ი. ლენინის მითითებით შეიქმნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საგანგებო კომისია. ამ საქმესაც დიდი ენთუზიაზმითა და დაკვირვებით უძღვებოდა ნ. კრუპსკაია. მან დარაზმა ქალაქისა და სოფლის ინტელიგენცია ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმის მოსაგვარებლად.

ნ. კრუპსკაიას დამსახურებაცაა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის შექმნა და განმტკიცება, იგი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ახალგაზრდობის ორგანიზაციას, გამოდიოდა მათ ყრილობებზე, და სიტყვებით, წერილებითა და მთელი რიგი ღონისძიებებით ემსახურებოდა ერთ მიზანს — კომუნისტური შეგნების მქონე, განათლებული, პატიოსანი მშრომელი, თავმდაბალი, გულადი და სამშობლოს სიყვარულით აღვსილი ახალგაზრდობის აღზრდას.

ნ. კრუპსკაიას მეტად ძლიერ უყვარდა ბავშვები. ლენინური დეკრეტები ბავშვთა კვების გაძლიერების შესახებ ნ. კრუპსკაიას საბრძოლო საქმეც იყო. იგი ყოველ ღონისძიებას მიმართავდა, რათა ჩვენი ბავშვები აღზრდილიყვნენ ჯანმრთელნი და ბედნიერნი. ხშირი სტუმარი იყო პიონერთა სასახლისა, ეცნობოდა მის მუშაობას, ესაუბრებოდა ბავშვებს, ათვალიერებდა მათ ნამუშევრებს, აძლევდა მათ რჩევა-დარიგებას.

იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა ბევრი ბავშვი დასტოვა ობლად, უსახლკაროდ, რაც ძალზე აწუხებდა ამ დიდბუნებოვან ქალს. მისი ინიციატივით შეიქმნა უპატრონო ბავშვთა სახლები და სწარმოებდა დიდი მუშაობა ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის წინააღმდეგ.

ნ. კრუპსკაიას მთელი მოღვაწეობა მიმართული იყო იქითკენ, რათა საბჭოთა ქვეყნის პატარა მოქალაქეს მიეღო კარგი განათლება, ყოფილიყო ჯანმრთელი, ქალს მეტი დრო ჰქონოდა საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, განათლებისათვის, მთლიანად მოსპობილიყო წერა-კითხვის უცოდინარობა, უწიგნურობა, მეტი რაოდენობით გვქონოდა კარგად მოწყობილი სკოლები, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, აგებულიყო საბავშვო ბაგები და ბაღები, საბავშვო სახლები, გვყოლოდა ღრმად მომზადებული, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შეიარაღებული მასწავლებლობა და კულტურის მუშაკები.

ნ. კრუპსკაია იყო გამოჩენილი პედაგოგი. სახალხო განათლების დარგში დიდი დამსახურებისა და მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის საკითხების მეცნიერულად დამუშავებისათვის, იგი 1931 წელს არჩეულ იქნა საპატიო აკადემიკოსად, ხოლო 1936 წელს მიენიჭა პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება.

ნ. კრუპსკაიას შრომები საბჭოთა პედაგოგიკური მეცნიერების საგანძურში შესული.

**ნინო სტეფანიშვილი**

# მოგონება ლენინზე

**ანა შარაშიძე**

ლესგაფტის კურსები ჩემთვის და ჩემი მეგობრის, კონსერვატორიის სტუდენტ ელენე ქიქოძისათვის პოლიტიკური სკოლა იყო.

სწორედ ამ ჩვენთვის ძვირფას შენობაში შევხვდით პირველად რევოლუციის გენიას დიდ ლენინს. დანიშნული იყო კონსპირაციული კრება, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო ვ. ი. ლენინს. კრებას სულ შვიდი კაცი უნდა დასწრებოდა. პაროლს მე და ელენე ქიქოძე ვამოწმებდით. ამხანაგები დაგვენაძლევენ — აბა თუ იცნობთ ლენინსო.

შვიდი კაცი უკვე მოვიდა და წინადადება მოგვცეს კარი ჩაგვეკეტა — ლენინი ვერ ვიცანით. კრების დროს გვაჩვენეს იგი და საშინლად გავვოცდით: ჩვენს რომანტიკულ წარმოსახვას იგი სულ სხვანაირად ჰყავდა წარმოდგენილი, ჩვენ კი დავინახეთ საშუალო ტანის, ჯმუხი კაცი, რომელიც არაფრით არ გამოირჩეოდა და, ერთი შეხედვით, ფინელ მუშას ჰგავდა.

ჩვენ მხოლოდ ლენინს მივჩერებოდით — რა უბრალო იყო და ყურადღებიანი ამხანაგების მიმართ; ყველას მიესალმა, ზოგიერთს თვითონ შესთავაზა სკამი.

მაშ ასე, დიდი ხნის ოცნება, რომ გვენახა იგი, აგვიხდა. ეს დღე ჩვენს ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი დღე იყო.

1905 წლის შემოდგომაზე ქართველთა სათვისტომოს გამგეობის წევრებად პეტერბურგში ბოლშევიკები გავიდნენ. სწორედ მათ მოაწყეს ლენინის მოხსენება პარტიის გაერთიანებასთან დაკავშირებით.

პეტერბურგის ყველა ქართველი სტუდენტისაგან პატივცემულმა დოცენტმა ივ. ჯავახიშვილმა (შემდეგში აკადემიკოსმა) ხალისით დაგვითმო უნივერსიტეტში აუდიტორია, რომელიც ადმინისტრაციამ მის სამეცნიერო წრეს გამოუყო.

დანიშნულ დროს, პუნქტუალურად, ლენინი მოვიდა აუდიტორიაში, სადაც საკმაოდ ბევრი სტუდენტი შეკრებილიყო.

— ოჰო! — ღიმილით გაიოცა ლენინმა შემოსვლისთანავე. — თქვენ აქ მთელი არმია ყოფილხართ! ყველანი ქართველები ხართ, ამხანაგებო? — ნოე ჟორდანიასი არ გეშინიათ? მე ძალიან მეშინია, ღმერთმანი მეშინია! — გაიცინა ისე, როგორც მხოლოდ მან იცოდა სიცილი. მოხსენების მოლოდინში ყველანი საშინლად ვღელავდით, მაგრამ აი დაიწყო ლაპარაკი პარტიის გაერთიანებაზე და ერთბაშად დავინახეთ, ვიგრძენით მისი სილამაზე, სილამაზე გენიოსისა, რომლის თვალებიც, ხან მრისხანებით აღსავსე და ხანაც დამცინავი, სულში სწვდებოდა მსმენელს. მისი ბაგენი უბრალო, ყველასათვის გასაგები გამოთქმებით გადმოგვცემდნენ დიდ ჭეშმარიტებათ, რომლებიც ყველასათვის ხელმისაწვდომი და მარტივი ხდებოდა.

მე და ჩემს მეგობარს ელენე ქიქოძეს მოხსენების შემდეგ აუდიტორიიდან წასვლა აღარ გვინდოდა; თითქოს გვეშინოდა, რომ დავკარგავდით მის ნათქვამს. ამ დღიდან ყველაფერი გვაინტერესებდა, რაც კი ლენინს ეხებოდა და იმ ამხანაგებს, რომლებიც ახლოს იცნობდნენ მას, გაუთავებელ შეკითხვებს დავაყრიდით ხოლმე. ეს შეკითხვები ეხებოდა ლენინის არა მარტო საზოგადოებრ-პოლიტიკურ, არამედ პირად ცხოვრებასაც: როგორია შინ, თუ უყვარს ხელოვნება, მუსიკა, პოეზია და ა. შ. ყველაზე მეტად მოგვეწონდა ამხანაგ აბელის[1] ნაამბობი, მისდამი სიყვარულით და ღრმა პატივისცემით გამსჭვალული.

1906 წლის შემოდგომაზე კავკასიელი სტუდენტებისათვის ტერიოკში მოეწყო ლენინის მოხსენება აგრარულ საკითხზე.

დანიშნულ კვირადღეს სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი სტუდენტები, ვითომდა ექსკურსიაზე, ჰელსინგფორსს გავემგზავრეთ. ბილეთები აქეთობისაც ავიღეთ. ჩავედით ტერიოკს. ლენინი ძალიან გულთბილად, მხიარულად შეგვხვდა. მოხსენების შემ-

[1]. ახლა სოფრომის ძე ენუქიძე.

დეგ ზოგი ჩვენი ამხანაგი ფარული მისამართით უნდა წასული-ყო (გადმოსაზიდი იყო იარაღი და ლიტერატურა).

ლენინს მეექვსეკლასელი ქართველი გიმნაზიელი მიუყვანეს და გააცნეს: „თქვენი სეხნია, ოღონდ ვლადიმერს კი არა, ლადოს ეძახიან[1] რევოლუციური გამოსვლების გამო დაითხოვეს და უფ-ლება ჩამოართვეს კავკასიის ან ამიერკავკასიის რომელიმე გიმ-ნაზიაში შესვლისა".

ლენინი მიესალმა და უთხრა, პეტერბურგში მყავს ამხანაგი, რომელიც კერძო გიმნაზიის დირექტორია და, თუ საჭირო იქნა, დაგეხმარებაო.

გამოთხოვებისას ლენინმა ახალგაზრდებს მოგვმართა: „ის-წავლეთ, ამხანაგებო, ისწავლეთ, უამრავი სამუშაო გვაქვს".

ვიცოდით, რომ ტერიოკიდან უკან დაბრუნებულს საზღვარზე გაგვჩხრეკდნენ, მაგრამ ჩვენ ბარგი არ გვქონდა და გვეგონა ჩხრეკას ავიცდენდით. ძლივს მოასწრო მატარებელმა გაჩერება, რომ ვაგონში ჟანდარმები ამოვიდნენ. შეარჩიეს რამდენიმე სტუ-დენტი — ჭაბუკი და ქალიშვილი, — წინადადება მისცეს ბარგია-ნად გამოგვყევითო. ამხანაგებმა განზრახ ფეხი აითრიეს და ვიდ-რე ჩხრეკის ოთახამდე მივიდოდნენ, მეორე ზარიც გაისმა. ჩვენ-და გასაოცრად ჟანდარმებმა ყველანი დააბრუნეს, გარდა შავ-ფაფახიანებისა; შავი ფაფახებით კი იყვნენ ნ. კვინიკაძე (აწ გან-სვენებული, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენ-ტი), გ. ბაღდასაროვი (პეტერბურგში დარჩა და მისი ამბავი აღა-რაფერი ვიცით), შალვა ნუცუბიძე, ალექსანდრე არაბიძე, კონ-სტანტინე მიქელაძე, პეტრე ქავთარაძე და სხვები. ასე მოულოდნე-ლად წოვახერხეთ იარაღისა და ლიტერატურის შემოზიდვა. დანა-რჩენები კი პეტერბურგს აღფრთოვანებულნი ჩამოვედით, თით-ქოს და ლენინმა ახალი ძალა შთაგვბერა მუშაობისა და ბრძოლი-სათვის.

პეტერბურგში გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთი, რომლის კო-რექტორი იყო პეტრე ივანეს ძე ქავთარაძე. სტამბის ასოთამწყობ-თა უმრავლესობა ქართველები იყვნენ — ლადო, სილია, ვანო, ყარამანი, მაკარი და სხვ.,[2] რომლებსაც ჩვენსავით უყვარდათ ლე-ნინი და უფრთხილდებოდნენ მას, ამ დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს და იშვიათ ადამიანს. ისინი გვატყობინებდნენ, როდის იბეჭდებო-და გაზეთში ლენინის სტატია, გვიამბობდნენ, უკანასკნელ კორექ-ტურას ლენინი თვითონ კითხულობსო. ასეთ დროს მე და ელენე შუაღამისას მივდიოდით სტამბაში და ალიონამდე იქ ვრჩებო-დით, რომ თვალი მაინც მიგვეკრა ლენინისათვის, როცა ის წინა-კარიდან კორექტორის ოთახში შემოვიდოდა, გათენებისას კი გა-მოვქონდა გაზეთები და შემხვედრ მუშებს ვურიგებდით, თან ლენინის სტატიასაც ვუჩვენებდით.

მახსენდება ერთი ეპიზოდი: ახლო მეგობრებში ერთმა სტუ-დენტმა საათს დახედა და თქვა. აი ახლა ტერიოკში სამუშაო მა-გიდასთან უზის ლენინი და კონვერტზე საკუთარი ხელით წერს: „პე-ტერბურგი, გოროხოვაიას ქ. 24, ბინა 20, ილია გრიგოლის ძე ქი-ქოძეს..." და მართლაც, გარკვეულ დღეებში ილია ლენინისაგან იღებდა და კუთვნილებისამებრ გადასცემდა ხოლმე კორესპონ-დენციებს.

1906 წლის შემოდგომის ერთ დილას ზემოხსენებულმა გიმნა-ზიელმა ლადომ აღელვებულმა მირბინა ჩემთან და ქოშინით ძლივს ამოილაპარაკა: „ლენინმა მიცნო, მომესალმა. ვერაფერი ვუთხარი, ბედნიერებისაგან დავიბენი".

ყველა გამოსვლაში ლენინი თავს იჩენდა როგორც ნამდვილი პედაგოგი და მასების უდიდესი აღმზრდელი, მაგრამ ვისაც ის დასწრებია, დისკუსიის დროს არ უნახავს, ვერ წარმოიდგენს მისი გენიის მშვენიერებას და ძალას.

არ ძალმიძს არ მოვიგონო ერთი წინასაარჩევნო კრება პეტერ-ბურგში, პანინას დარბაზში. შემოდგომის საღამო იყო. მთელი ახალგაზრდობა მიდის კი არა, მიფრინავს კრებაზე. ტრამვაის ვა-გონებში მხიარულება და ხმაურია, ისმის გონებამახვილური რეპ-ლიკები. მოვედით. დარბაზი გაჭედილი დაგვხვდა; რამდენიმე წუთში ყველა ოთახი და გასასვლელი გაივსო. ვსხედვართ. გავი-და ერთი საათი, ორი, სამი. ცხარე კამათია გაჩაღებული, რომელ-შიც ყველა პარტიის საუკეთესო ძალები მონაწილეობენ. ერთი-მეორეს ცვლიან ბრწყინვალე ორატორები. გვლანძღავენ, გვაგი-ნებენ... ლენინი არ ჩანს. ვღელავთ, ხომ არაფერი დაემარ-თა! მივწერეთ სცენაზე მყოფ ამხანაგებს. იმათ იქიდან ჟესტებით გვანიშნეს, ლენინი აი იქ ზისო. მაგრამ ის, ალბათ, გამოსვლას არც ფიქრობს, მუხლებზე სქელი წიგნი დაუდევია, ხელში ბროშუ-რა უჭირავს. წიგნში რაღაც გახაზა, ვიღაცას თავი დაუკრა, ვი-ღაცას ბარათი გაუგზავნა, შემდეგ გაზეთის კითხვა დაიწყო. არა, ალბათ, არ ფიქრობს გამოსვლას. მე და ელენემ თავები ჩავღუნეთ, გუნება გაგვიფუჭდა...

ანაზდად გაისმა ნაცნობი, ძვირფასი ხმა. სცენაზე ლენინი დგას. დაღლილი ხალხი გამოცოცხლდა, მასებს სიხარულის გუგუნმა გადაუარა და იმწამსვე სამარისებური დუმილი ჩამოვარდა. სცე-ნიდან კი მოდის გაბედული, ძლიერი სიტყვები, რომლებიც მოწი-ნააღმდეგეს აწითლებენ და თანამზრახველს სიხარულითა და სიამაყით აღავსებენ. „ბატონი მილიუკოვი წერს ამასა და ამას, აქ კი სულ სხვას ლაპარაკობს, აი პასუხი ამ სცენიდან წარმოთ-ქმულ მის სიტყვაზე... ბ-ნი ჩერნოვი ამბობს... მაგრამ ის მართალი არ არის". და ლენინი თითქმის ყოველ მის წინადადებას უარყოფს (ან კი როგორ დაიხსომა ზეპირად!).

იქუხა ტაშმა. ამ შენობაში კაცი არ იყო, რომ ასე არ ეფიქრა. ლენინს რომ ვუსმენდით, ჩვენ, ახალგაზრდა ქალები, ვფიქრო-ბდით, რომ მზადა ვართ მივატოვოთ ყველა და ყველაფერი და მხოლოდ ამ კაცს მივყვეთ, რადგან ის, რასაც ლენინი ლაპარა-კობს, ჭეშმარიტებაა, სიმართლეა, ის არის, რაც ყოველ კაცს სჭი-რდება. ლენინის შემდეგ გამოსვლის მსურველი არავინ ყოფილა.

ასე გახუნდა წინა ორატორთა მაღალფარდოვანი სიტყვების ბრწყინვალება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სიტყვის ბუნებრივი უბრალოების, ლოგიკისა და ძალის წინაშე. ეს უდავოა. კრების ბედი გადაწყდა...

სიხარულისაგან აღარ ვიცოდით, რა გვექნა, როცა გავიგეთ, თუ როგორ შეგვაქო ლენინმა საზრიანობისათვის. პეტრე დაეპა-ტიმრებინათ. სასწრაფოდ უნდა გადაგვეცა მისთვის მნიშვნელო-ვანი ცნობები მის დაპატიმრებასთან დაკავშირებით. ბევრი არ გვი-ფიქრია. ლოგინისა და თეთრეულის გადაცემის დროს ავიღეთ პირ-სახოცი და ამოვქარგეთ მასზე: „ძვირფას პეტიას ლეიბინახეს სა-ხსოვრად". ლეიბში კი საჭირო ცნობები იყო. ლენინს ეს მოეწონა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლენინმა თბილისიდან მოსკოვს დაბრუნებულ აბელ ენუქიძეს ჰკითხა: „პიოტრ ივანოვიჩი და ის ორი ქართველი ქალიშვილი ჩვენს მხარეზე არიან თუ ჩვენს წინააღმდეგ".

როცა 1924 წელს ლენინის გარდაცვალების საშინელი ამბავი მოვიდა, გიჟივით გავვარდი ქუჩაში, ქვითინს ვერ ვიკავებდი. მ. პ. მიქელაძეს (იმდროინდელ პეტერბურგელ სტუდენტს) მივაშუ-რე განსახკომში. ის მაგიდას უჯდა კაბინეტში. კარი შევაღე. რომ დამინახა, გული ამოუჯდა. მე კი კარის ძირეს ვერ გადავა-ბიჯე, იქვე ჩავჯექი აზლუქუნებული. მწუხარება დიდი იყო. ერ-თი სიტყვაც არ გვითქვამს, ისე დავშორდით ერთმანეთს.

ჩვენ, ვისაც ლენინი გვინახავს პეტერბურგში, ძალიან ცოტა დავრჩით, მაგრამ ახლაც, ერთმანეთს რომ შევხვდებით, თუ სიტყ-ვა ლენინზე ჩამოვარდება, ერთმანეთს აღარ ვცილით, ვიგონებთ, ვყვებით აღელვებით და გატაცებით, თითქოს ეს ყველაფერი გუ-შინ მომხდარიყოს და არა სამოცი წლის წინათ.

წიგნიდან — „ქართველ რევოლუციონერთა მოგონებანი ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე".

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. თბილისი, 1970 წ.

---

[1] ვლადიმერ ექვთიმეს ძე ორგაძე — დამსახურებული ექიმი, პერსონალური პენსიონერი, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

[2] როდესაც ლენინი ჟენევაში იყო, სტამბის ეს მუშები ტერიოკ-ში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, ხოლო, როდესაც ლენინი ტერი-ოკში ჩამოვიდა, ისინი პეტერბურგში დაბრუნდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა ტრიბუნაზე

# საერთა-შორისო სიმპო-ზიუმი

მიმდინარე წლის 17 თებერვალს მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ქალის როლის შესახებ საზოგადოებაში და სოციალისტურ ქვეყნებში ქალთა საკითხის გადაწყვეტის გამოცდილება“.

მოძმე რესპუბლიკებისა და სოციალისტური სახელმწიფოების დელეგაციებთან ერთად სიმპოზიუმს ესწრებოდნენ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებისათვის ქალთა კავშირის, აგრეთვე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის ორგანიზაციის ქალთა ბიუროსა და სრულიად აფრიკის ქალთა კონფერენციის წარმომადგენლები.

სიმპოზიუმი ხუთ დღეს გაგრძელდა. დისკუსიის მთელმა მსვლელობამ ნათელყო, თუ რა დიდი პერსპექტივები გადაშალა სოციალიზმმა ქალის წინაშე. თავის გამოსვლებში სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა დაასახელეს უამრავი მაგალითი იმისა, თუ რა დიდია დღეს ქალის როლი ეკონომიურ, კულტურულ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სხდომებზე დიდი ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივ შრომაში ქალთა მონაწილეობის საკითხს. ორატორები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ: შრომა და მხოლოდ საზოგადოებრივი შრომაა ჭეშმარიტი საფუძველი ქალის განთავისუფლებისა და მისი პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვისო. საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობისას ადამიანი არა მარტოოდენ გარდაქმნის და თავის ინტერესებს უქვემდებარებს გარემომცველ სამყაროს. არამედ კიდეც ავითარებს თავის ფიზიკურ, გონებრივ და ფსიქიკურ შესაძლებლობებსო.

როგორი პირობები უნდა შეექმნას ქალს, რომ თავისი საზოგადოებრივი შრომა ჰარმონიულად შეუხამოს საზოგადოებრივ მოღვაწეობას, დედობასა და ოჯახის დიასახლისობას? — თათბირობდნენ სიმპოზიუმის მონაწილენი, და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტურ ქვეყნებში გრანდიოზული მუშაობაა გაწეული ქალის თანასწორუფლებიანობისათვის, ყოფაცხოვრებაში შემორჩენილი უთანაბრობის ნარჩენთა ლიკვიდაცია ჯერ კიდევ დიდ შრომას მოითხოვს. ცხოვრება ახალ-ახალ ამოცანებსა და პრობლემებს აყენებს, რაც მრავალმხრივად უნდა იქნას შესწავლილი და შემოქმედებითად გადაწყვეტილი.

სიმპოზიუმზე განსაკუთრებული რეზონანსი მიიღო ლენინის შეხედულებებმა რევოლუციაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და სოციალისტური სამშობლოს დაცვაში ქალის მონაწილეობის შესახებ. დისკუსიაში გამოსულმა ორატორებმა გაიხსენეს გზა, რომელიც განვლეს ჩვენი ქვეყნის ქალებმა თავის ხალხთან ერთად. და კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ ლენინური აზრის სისწორეში, რომ სამყაროს რევოლუციური გარდაქმნა შეუძლებელია მშრომელი ქალების ფართო მონაწილეობის გარეშე. ორატორები იხსენებდნენ იმ გმირ ქალთა სახელებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს რევოლუციას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ფაშიზმისა თუ იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ვიეტნამელ ქალებს, დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ გმირული კუბისა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს, სოლიდარობა გამოუცხადეს არაბ ხალხს მათ სამართლიან ბრძოლაში.

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავდნენ, საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ქალთა საკითხის წარმატებით გადაწყვეტა, საერთოდ, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის უდიდესი მონაპოვარიაო.

— ეს კი გვავალებს, — თქვა სიმპოზიუმის დახურვისას საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარემ ვალენტინა ნიკოლაევა ტერეშკოვამ, — მტკიცედ დავიცვათ ლენინის ანდერძი; დღენიადაგ გვახსოვდეს, რომ ჩვენი მაგალითი დაეხმარება სხვა ქვეყნების ქალებს, რათა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ საზოგადოებაში. ეს გვავალებს ვიყოთ ერთგულნი პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა, ფართო პროპაგანდა გავუწიოთ სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებას ქალთა საკითხის გადაწყვეტაში, რაც შეიძლება ავამაღლოთ სოციალისტური ქვეყნების ქალთა ორგანიზაციების როლი ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში.



# ლენინური დეკრეტები მოქმედებაში



## გვესაუბრება განათლების მინისტრი თამარ ლაშქარაშვილი

ჩვენი რედაქციის თანამშრომელი ნ. ცაგარეიშვილი ეწვია განათლების მინისტრს ამხ. თამარ ლაშქარაშვილს და ჩაიწერა მასთან საუბარი რესპუბლიკაში განათლების მდგომარეობის შესახებ.

„რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის იუბილეს ღირსშესანიშნავ დღეებში ბუნებრივად გვებადება სურვილი, თვალი გადაავლოთ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ განვლილ ნახევარსაუკუნოვან გზას. ამ გზაზე იყო ბრძოლები შიმშილთან და გაავებულ ინტერვენტებთან, ამ გზაზე იყო ბრწყინვალე ხუთწლედები, სტახანოვური მოძრაობები, ამ გზაზე იყო... დიდი სამამულო ომი.

მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ მემკვიდრეობად მიიღო სისხლისაგან დაცლილი, გაღატაკებული ქვეყანა, ქვეყანა, სადაც სიბნელე და უმეცრება მეფობდა. აკი თავად აცხადებდნენ ცარიზმის მოხელეები, რუსეთში რომ ყველამ წერა-კითხვა ისწავლოს, ამას საუკუნეები დასჭირდებაო. მათ რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ განეჭვრიტათ მომავალი, არ შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ საუკუნეების კი არა, სულ რაღაც ხუთიოდე ათწლეულის მანძილზე რუსი და რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხი სასწაულებს მოახდენდა... კოსმოსის პირველი დამპყრობი შეიქმნებოდა.

რევოლუციის პირველსავე წლებში სახალხო განათლების, წერა-კითხვის პრობლემა სახელმწიფო საქმედ გამოცხადდა. „წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე დგას. მას ჯერ ანბანი უნდა ვასწავლოთ. უამისოდ პოლიტიკა შეუძლებელია, უამისოდ არის მხოლოდ ხმები, ჭორები, ცრურწმენა და არა პოლიტიკა". — ამბობდა ვ. ი. ლენინი.

კულტურული რევოლუციის ლენინური პროგრამის საფუძველზე ფართო მუშაობა გაჩაღდა მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ; საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი ათი წლის განმავლობაში წერა-კითხვა შეისწავლა 500 ათასამდე მოზრდილმა მამაკაცმა და ქალმა.

1930 წლისათვის გადაწყვეტილ იქნა კულტურული რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — სათანადო პირობები მომზადდა და მთელ საქართველოში დაიწყო საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლების განხორციელება.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკა სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლების, საშუალო და უმაღლესი სპეციალური სასწავლებლების ფართო ქსელით არის დაფარული. საკმარისია ითქვას, რომ თუ რევოლუციამდელ საქართველოში მხოლოდ 40-მდე საშუალო სასწავლებელი იყო, დღეს მათი რიცხვი 1.442 აღწევს. სულ რესპუბლიკაში 4.174 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, სადაც სწავლობს მილიონამდე მოსწავლე.

პარტიის XXIII ყრილობის დირექტივებით დასახული ამოცანა — 1970 წლისათვის საშუალო საყოველთაო-სავალდებულო სწავლებაზე გადასვლის შესახებ — ჩვენთან წარმატებით სრულდება — რვაკლასდამთავრებულთა 83 პროცენტი სწავლას აგრძელებს საშუალო სკოლის მე-9 კლასში, ხოლო 14-15 პროცენტი — საშუალო სპეციალურ პროფტექნიკურ სასწავლებლებში.

საშუალო საყოველთაო სწავლებაზე გადასვლა გულისხმობს პირველ რიგში სწავლების შინაარსის გაუმჯობესებას.

მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების თანამედროვე ეტაპი მოითხოვს ახალგაზრდა თაობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებას. მხოლოდ ფართო საბუნებისმეტყველო-მათემატიკური და ჰუმანიტარული ცოდნის ბაზაზე შეიძლება მოზარდი თაობა მოვამზადოთ ახლანდელ პირობებში მრავალმხრივი შრომითი საქმიანობისათვის. სკოლა მოწოდებულია შეაიარაღოს მოსწავლეები ცოდნით, რომელიც შეესაბამება ჩვენი მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის განვითარების დონეს.

სკკპ XXIII ყრილობისა და პარტიისა და მთავრობის მომდევნო გადაწყვეტილებებში დასახული მოთხოვნების შესაბამისად არსებითად იცვლება სასკოლო განათლების შინაარსი, შემოღებულია ახალი პროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია უკანასკნელი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები. სასწავლო პროცესი ისეთნაირად არის აგებული, რომ ბავშვებს სკოლაში პირველი ნაბიჯებიდანვე განუვითარდეთ დამოუკიდებლად აზროვნების უნარი, გაუძლიერდეთ სწრაფვა ცოდნისაკენ.

განათლების ორგანოების ყურადღების ცენტრში დგას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების სრულყოფა. საგრძნობლად იზრდება იმ სკოლებისა და მასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც გულმოდგინედ იცავენ ენის სიწმინდეს და მოსწავლეებს უნერგავენ ზეპირი და წერითი მეტყველების ჩვევებს.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ დისციპლინათა სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მთელ რიგ სკოლებში გაიხსნა კლასები მათემატიკის, გამოთვლითი ტექნიკის, ფიზიკის, რადიოტექნიკის, ქიმიის, ქიმიური ტექნოლოგიის, ბიოლოგიის, აგრობიოლოგიის გაძლიერებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებით.

განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის არის აგრეთვე გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელსაც მიმდინარე სასწავლო წელს ჩაეყარა საფუძველი — მოსამზადებელი კლასების გახსნა 6 წლის ასაკის ბავშვებისათვის.

დღეს უკვე არავისთვის არ არის სადავო ის, რომ ბავშვების სწავლება საჭიროა დავიწყოთ სწორედ ამ ასაკიდან. მაგალითად, საფრანგეთში, იტალიაში, იაპონიაში, ავსტრიაში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკებში, ავსტრალიაში, კუბასა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში პირველ კლასში ღებულობენ 6 წლის ასაკიდან, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში მოსამზადებელი კლასებია, სადაც ღებულობენ 5 წლის ასაკის ბავშვებს.

მაგრამ სკოლის მუშაობის გაუმჯობესება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მასწავლებელზე, მის ცოდნასა და უნარზე. სწორედ ამიტომ მასწავლებლების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ამჟამად ჩვენს სკოლებში მუშაობს 70 ათასზე მეტი მასწავლებელი, მაშინ, როდესაც რევოლუციამდელ საქართველოში სულ 5 ათასამდე მასწავლებელი იყო. მასწავლებელთა უმრავლესობა უმაღლესი განათლებითაა, დაწყებითი კლასებისათვის მასწავლებლებს უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლები ამზადებენ. უკანასკნელ დროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ყოველწლიურად იგზავნება სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის, თელავის, გორის, ცხინვალის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის პედაგოგიური და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტების 1.200-1.300-მდე კურსდამთავრებული.

საბჭოთა სწავლა-აღზრდის სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ჩვენი ბავშვები საბავშვო ბაღის ასაკიდან იწყებენ გარკვეული, მცირე ცოდნის მიღებას. გასულ წელს საქართველოს 1.300 ბაგა-ბაღში აღმზრდელების ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა 100.000 ბავშვი, რაც ორნახევარჯერ მეტია, ვიდრე ათი წლის წინ იყო. მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი. ამიტომ, ბაგა-ბაღების ქსელის ზრდა მანამდე არ შეწყდება, ვიდრე ყველა ბავშვს არ ექნება საშუალება ბაგა-ბაღში გაატაროს მთელი სკოლამდელი პერიოდი.

ჩვენს რესპუბლიკაში წარმატებით მუშაობენ აგრეთვე სკოლა-ინტერნატები, რომლებიც დაკომპლექტებული არიან მზრუნველი და მცოდნე პედაგოგებით.

ბევრია განათლების ფრონტზე სადაო და გადასაწყვეტი, დიდია გეგმები და პერსპექტივები, მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია, არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია ახალგაზრდობის მასობრივად სწავლის იმდენი საშუალება და ნიჭის გაფურჩქვნის ისეთი შესაძლებლობა, როგორიც ლენინურ იდეებზე აგებულ საბჭოთა ქვეყანას.



„ჩავაბათ ქალი საზოგადოებრივ-მწარმოებლურ შრომაში, ხელიდან გამოვგლიჯოთ იგი „შინაურ მონობას", გავანთავისუფლოთ იგი დამჩლუნგებელი და დამამცირებელი მორჩილებისაგან, სამზარეულოსა და საბავშვო ოთახის მუდმივი და განსაკუთრებული გარემოსაგან, — აი, მთავარი ამოცანა".

ვ. ი. ლენინი

## საუბარი საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრთან ფატი დუმბაძეთან

ეს სიტყვები ხომ მთელი პროგრამაა ქალის სოციალური განთავისუფლებისა, ახალი ცხოვრების მშენებლობაში მისი აქტიური ჩაბმისა. ჩვენი პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს ბელადის ანდერძს. სკკპ პროგრამაში ნათქვამია: „საჭიროა უზრუნველვყოთ პირობები ოჯახში ქალის შრომის შემცირებისა და შემსუბუქებისათვის, ხოლო შემდეგ შევქმნათ შესაძლებლობა, რომ ეს შრომა შეიცვალოს ოჯახის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილების საზოგადოებრივი ფორმებით".

— რა გაკეთდა დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში ამ დიდ მიზანდასახულობათა განსახორციელებლად? — ასეთი კითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა ნ. ბარათაშვილმა საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრს ამხ. ფატუშა დუმბაძეს.

— ძალიან ბევრი, — სთქვა მან. — თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრად მეტია. დღეს კეთილმოწყობილი კომბინატის, ატელიეს, სახელოსნოს, საპარიკმახეროს გარეშე ძნელი წარმოსადგენია, რომელიც გნებავთ, ქალაქის, დაბისა თუ სოფლის პეიზაჟი. მარტო საქართველოს

# ლენინური დეკრეტები მოქმედებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელებს 9.000 ასეთი საწარმო ემსახურება, რომლებშიც 40 ათასამდე სხვადასხვა სპეციალობის ხელოსანი მუშაობს. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ჩვენი დარგის მუშაკებმა ხუთწლედის მეოთხე წელს. მათ გადაჭარბებით შეასრულეს წლიური გეგმა. განაღდებული აქვთ ყველა სოციალისტური ვალდებულება: საექსპლოატაციოდ მარტო ჩვენი ძალებით გადავეცით 130 კეთილმოწყობილი, თანამედროვე საწარმო, დავნერგეთ მომსახურების 25 ახალი სახე. ციფრებში კი ჩვენი მუშაობა ასეთ გამოხატულებას იღებს: შარშან რესპუბლიკის მშრომელებს გავუწიეთ 50,1 მილიონი მანეთის მომსახურება. ეს ციფრი 8 მილიონი მანეთით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს, ხოლო 1965 წელთან, ხუთწლედის წინა წელთან შედარებით, ორჯერ მეტია.

**— თუმცა ციფრები ყოველთვის მჭერმეტყველია, მაგრამ ისინი ვერ გადმოსცემენ მთავარს, იმ ხარისხობრივ ძვრებს, რაც საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მოხდა ამ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე. მაინც, რა მიგაჩნიათ ნიშანდობლივად ამ სისტემის დღევანდელი განვითარებისათვის?**

— მთავარი, ნიშანდობლივი ის არის, რომ ძირფესვიანად შეიცვალა საყოფაცხოვრებო მომსახურების თვით არსი, შინაარსი. წინათ ჩვენი დარგი აბანო-საპარიკმახეროებითა და ფეხსაცმლის შეკეთებით შემოიფარგლებოდა. მაგრამ დღეს, როცა ქალის, დიასახლისის დასახმარებლად უამრავი საყოფაცხოვრებო ტექნიკა წარმოიშვა, როცა ოჯახებში მაცივარი, სარეცხი მანქანა, მტვერსასრუტი, ტელევიზორი და სხვადასხვა სახის უამრავი ელექტროხელსაწყო გაჩნდა, განვითარდა კიდევ მომსახურების მთელი დარგი — საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება. ასეთი დანიშნულების საწარმოები გახსნილია ყველა ქალაქში, რაიონულ და სამრეწველო ცენტრებში, მსხვილ დაბებსა და სოფლებში.

**— რა თქმა უნდა, ელექტროხელსაწყოებმა ბევრად შეუმსუბუქეს ქალს საოჯახო შრომა, მაგრამ ზოგიერთი საქმიანობა მაინც დიდ დროს და ჯაფას მოითხოვს. ყველაზე მძიმე, ვფიქრობთ, დიასახლისისათვის მაინც სარეცხია. გთხოვთ, გვიამბოთ, რა პერსპექტივები აქვს ჩვენში საზოგადოებრივი სამრეცხაოების განვითარებას. დადგება თუ არა დღე, როცა არც ერთი ქალი დიდ სარეცხს სახლში აღარ გარეცხავს?**

— იცით, ერთ დროს არსებობდა აზრი, რომ ჩვენი დიასახლისი თავის თეთრეულს არ მიიტანს ფაბრიკაში გასარეცხად. მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ეს სკეპტიციზმი მოკლებულია რაიმე ობიექტურ საფუძველს. უბრალოდ, ჩვენი დიასახლისი მიეჩვია შინ შრომას, თანაც იგი განსაკუთრებულად მკაცრ მოთხოვნებს უყენებს რეცხვის ხარისხს. ამიტომ ჩვენ თეთრეულის რეცხვის საწარმოებს დავუსახეთ ამოცანა — ისე დავაყენოთ მუშაობა, იმდენად ავამაღლოთ ხარისხი, რომ ყველაზე მომთხოვნი დიასახლისიც კი გვენდობოდეს, არ გაგვირბოდეს. მართლაც, შევძელით ქალების დიდი ნაწილის გადმობირება. საჩივრები რეცხვის ხარისხზე ახლა უფრო ცოტა გვესმის და ვგრძნობთ კიდეც, რომ ჩვენი საწარმოები სამუშაოს ველარ აუდიან. ამიტომ მივიღეთ ზომები თეთრეულის რეცხვის საწარმოთა ქსელის გაფართოებისათვის. გასულ წელს შევიძინეთ ახალი იმპორტული დანადგარები და დიდი ბელადის საიუბილეოდ ჩვენ საექსპლოატაციოდ გადავცემთ 15 სამრეცხაოს თბილისში, ბიჭვინთაში, ახალ ათონში, ქობულეთში, გარდაბანში, დუშეთში, ჩოხატაურში, წულუკიძეში, სიღნაღში, მაიაკოვსკში, ახალციხეში, თიანეთში, ცაგერში, ამბროლაურსა და ყაზბეგში.

ასევე გაიზარდა ქიმწმენდის საწარმოთა ქსელი. მოსკოვის საერთაშორისო გამოფენა „ინტერბიტმაშ—68"-ზე ჩვენ შევიძინეთ დიდძალი საუცხოო მანქანა-დანადგარი, რომლებიც რესპუბლიკის საკურორტო ცენტრებში დავდგით. შარშან საექსპლოატაციოდ გადავეცით თეთრეულის რეცხვისა და ქიმწმენდის კომპლექსური ფაბრიკები ქუთაისში, ცხინვალში, ბათუმში, ბიჭვინთაში, რუსთავში, გაგრაში, ჭიათურაში, ფოთში. წელს მწყობრში შევა კიდევ 6 ათასი საწარმო.

**— ამ ბოლო წლებში თბილისში პოპულარობით სარგებლობს ინდივიდუალური დაკვეთის სახელოსნოები, განსაკუთრებით, მოდური ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის. არის თუ არა ასეთივე საწარმოები რესპუბლიკის სხვა ქალაქებში?**

— ასეთი საწარმოები ამ უკანასკნელ 2-3 წლიწადში მარტო დიდ ქალაქებში კი არა, რაიონულ ცენტრებშიც გავხსენით. სულ რესპუბლიკის მშრომელებს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ინდკერვის 1.200-ზე მეტი ატელიე და სახელოსნო ემსახურება.

**— როგორია მდგომარეობა აბანოების მშენებლობის მხრივ?**

— უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რეკონსტრუირებული და შეკეთებულია ორასამდე აბანო. მაგრამ, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ აბანოთი და, საერთოდ, პირველი მოთხოვნილების ობიექტებით მომსახურების საქმეში ჩვენ ბევრად ჩამოვრჩებით იმ მოთხოვნებს, რასაც დღევანდელი ადამიანი გვიყენებს, მითუმეტეს, ისეთი მაღალი კულტურის რესპუბლიკაში, როგორიცაა საქართველო. ახლა ჩვენი დევიზია — „არც ერთი სოფელი აბანოს გარეშე!"

**— გთხოვთ, დევიზს ერთიც დაუმატოთ: არც ერთი ბავშვი სპეციალიზებული სამრეცხაოს გარეშე. ალბათ, მოგეხსენებათ, როგორ გაუიოლა დედას ბავშვის გაზრდა ჩვენს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში ჩვილ ბავშვთა სპეციალიზებულმა სამრეცხაოებმა: დღელამის განმავლობაში დასველებულ სახვევებს ქალი დილას გზავნის (ან თვითონ მიაქვს) იქვე, მის კვარტალში მოთავსებულ სამრეცხაოში და სანაცვლოდ მოაქვს გარეცხილ-გატკიცინებული სახვევები.**

— სიამოვნებით ვიღებთ ამ დევიზსაც. სხვათაშორის, ამას წინათ სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე ჩვენ განვიხილეთ ასეთი ბავშვთა სამრეცხაოების მოწყობის საკითხი თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, თელავსა და გორში. ეს, რა თქმა უნდა, პირველი ნაბიჯები იქნება. ყოველ საცხოვრებელ კვარტალში სპეციალიზებული სამრეცხაოს მოწყობა ასე უცბათ ვერ მოხერხდება. მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში საყოფაცხოვრებო მომსახურების კულტურას დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგრამ, გარწმუნებთ, ცდას არ დავაკლებთ.

**— იმედი გვაქვს, რომ თქვენი ცდა შესანიშნავ შედეგს გამოიღებს. ის ამბავი, რომ დღეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უკვე სარგებლობენ 400-ზე მეტი სხვადასხვა სახის მომსახურებით, რომ გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ მთელს საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი დაისაკუთრა, მაშინ, როცა 1965 წელს ყველაზე ჩამორჩენილი იყო, გვაძლევს იმის საბაბს, რომ ოპტიმისტები ვიყოთ.**

— პირველ რიგში, ამას ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს უნდა ვუმადლოდეთ. მათ არაერთხელ განიხილეს საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის საკითხი და მრავალი კონკრეტული ღონისძიება მიიღეს. მათი მხარდაჭერით ჩვენ ბევრი ორგანიზაციული დაბრკოლება ვძლიეთ, შევიძინეთ ძვირფასი ინვენტარი, დანადგარები. მხარს გვიჭერენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებიც. ამ ხუთ წლიწადში ყველა რაიონულ ცენტრში სამი-ოთხი ობიექტი მაინც ავაგეთ. მაგრამ გასაკეთებელი, როგორც ადრე გითხარით, კიდევ ძალზე ბევრი გვაქვს.

ჩვენს ხალხს აღარ აკმაყოფილებს ის, რაც გუშინ ჰქონდა, ხვალ უფრო მეტ მოთხოვნებს წამოგვიყენებს, ამიტომ საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებს მოეთხოვებათ სულ უფრო მეტი, სულ უფრო უკეთ მუშაობა, მეტი ინიციატივა, მეტი შემოქმედებითი უნარის გამოჩენა. 1971-75 წლების ხუთწლიანი გეგმის მონახაზებით მომსახურების მოცულობამ 126 მილიონი მანეთი უნდა შეადგინოს. ამ მიზნის მიღწევა იოლი როდია — ეს არის თანხა, რომელიც უნდა დაგროვდეს კაპიკ-კაპიკ, მანეთ-მანეთ ადამიანებისათვის გაწეული მომსახურებისაგან.

გთხოვთ, გადასცეთ, თქვენი ჟურნალის მკითხველებს, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ მათი მაღალ დონეზე მომსახურებისათვის, შეეცდებიან იყონ თითოეული ოჯახის მეგობრები და თანაშემწენი.





## გვესაუბრება ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ეთერ ღლონტი

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ დიდი ლენინის იუბილეს დღეებში „საქართველოს ქალის" მკითხველები ერთხელ კიდევ გადაავლებენ თვალს საბჭოთა სახელმწიფოს დაარსების დღიდან მომხდარ იმ დიდ ცვლილებებს, რომლებიც სხვა დარგების პარალელურად ჯანმრთელობის ფრონტზეც მოხდა.

ამ მიზნით ჩვენი რედაქციის მუშაკი ეწვია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეს **ამხ. ეთერ ღლონტს.**

კ ი თ ხ ვ ა: პატივცემულო ეთერ! უპირველეს ყოვლისა, რას გვეტყვით სამედიცინო მომსახურების შესახებ რევოლუციამდელ საქართველოში?

პ ა ს უ ხ ი — რადგან საზოგადოების პირუთვნელი მსაჯული ისტორიაა და იგი მხოლოდ ფაქტებით მეტყველებს, მივმართოთ მას:

რევოლუციამდელ საქართველოში ყოველ ათასს მცხოვრებზე მხოლოდ ორი საწოლი მოდიოდა. ერთი ექიმი ქალაქად ემსახურებოდა 7.400 კაცს, სოფლად — 63.000-ს. მშობიარეთათვის განკუთვნილი იყო სულ 96 საწოლი. მუშაობდა ბავშვთა ერთი კონსულტაცია და ერთი განყოფილება, ისიც კერძო საავადმყოფოში.

ცუდი ეკონომიური პირობებისა და აუტანელი შრომის შედეგად დაძაბუნებულ ხალხს შინაგან სნეულებებთან ერთად მუსრს ავლებდა ეპიდემიები და ინფექციური დაავადებები. აი, როგორ გვისურათხატებს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ისტორია რევოლუციამდელ საქართველოში.

კ ი თ ხ ვ ა: საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჯანმრთელობის დაცვის უდიდესი განვითარება ყველასათვის დღესავით ნათელია, მაგრამ ხომ არ მოაგონებდით ჩვენს მკითხველებს მის პირველ ნაბიჯებს?

პ ა ს უ ხ ი: როგორც მოგეხსენებათ, 49 წლის წინ ქართველი ხალხისათვის ახალი ერა დაიწყო. რევოლუციის დიდმა მესაჭემ — ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა მშრომელთა ჯანმრთელობის პრობლემა სახალხო საქმედ გამოაცხადა: „იმ დროს, როცა ქვეყანა გაჩანაგებულია, ჩვენი ამოცანაა დავიცვათ მუშის სიცოცხლე, გადავარჩინოთ მუშა... თუ მას გადავარჩენთ ამ რამდენიმე წელს, ჩვენ ვიხსნით საზოგადოებას, ქვეყანასა და სოციალიზმს", განაცხადა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა ძნელბედობის 1919 წელს.

ვლადიმერ ილიას ძემ ხელი მოაწერა ჯანმრთელობის დაცვის ასზე მეტ დოკუმენტს. 1919 წელს საფუძველი ჩაეყარა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მთელ სისტემას — ლენინის მიერ ხელმოწერილ იქნა დეკრეტი ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

ვლადიმერ ილიას ძემ გენიალურად განსაზღვრა პროფილაქტიკის როლი მედიცინაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით კომუნისტური პარტიის მეორე პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში, დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით, პარტია თავისი მოღვაწეობის ქვაკუთხედად, უპირველეს ყოვლისა, თვლის ფართო გამაჯანსაღებელ და სანპიგიენურ ღონისძიებათა გატარებას.

ხელმძღვანელობს რა ბელადის გენიალური მითითებებით, კომუნისტური პარტია თავის ახალ მესამე პროგრამაში აცხადებს:

— „სოციალისტური სახელმწიფო ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც კისრულობს ზრუნვას მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის. ამას უზრუნველყოფს სოციალ-ეკონომიური და სამედიცინო ღონისძიებათა სისტემა. განხორციელდება ფართო პროგრამა, რომლის მიზანია ავადმყოფობათა თავიდან აცილება და გადაჭრით შემცირება, მასობრივ ინფექციურ დაავადებათა ლიკვიდაცია, სიცოცხლის ხანგრძლიობის შემდგომი ზრდა".

ცარიზმისა და მენშევიკების მიერ გაპარტახებულ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებიდან იწყო განვითარება სახალხო ჯანმრთელობის საქმემ: შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი, რომელმაც მტკიცედ დარაზმა მედიცინის მუშაკები პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად. გაჩაღდა ბრძოლა საშიშ ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ, გატარდა ეფექტური სანიტარულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, გაფართოვდა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროფესიული დაავადებების, საწარმოო ტრავმატიზმის მკურნალობასა და სხვ.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში ქართველი მედიცინის მუშაკები მთელი ენერგიითა და მონდომებით იბრძოდნენ ჯანმრთელობის სადარაჯოზე, ისინი სძლევდნენ ეპიდემიებს, მწყობრში აბრუნებდნენ დაჭრილ მებრძოლებს, ატარებდნენ საერთო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, და ვინ მოსთვლის კიდევ, რამდენ რამეს აკეთებდნენ.

შ ე კ ი თ ხ ვ ა: რა სურათი გვაქვს დღეისათვის რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის, კერძოდ, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ფრონტზე?

პ ა ს უ ხ ი: ომის შემდგომ წლებში ქართული მედიცინა (მთელი საბჭოთა და მსოფლიო

მედიცინის კვალდაკვალ) მძლავრად ვითარდება. შორს წაგვიყვანდა იმ გრანდიოზულ ღონისძიებებზე ლაპარაკი, რომლებიც უკვე განხორციელდა, რეალურ საქმედ იქცა. აჯობებს ისევ ციფრებს მივმართოთ: დღეს ხალხის სამედიცინო სამსახურში დგას 650-ზე მეტი საავადმყოფო, 1.460-ზე მეტი პოლიკლინიკა და ამბულატორია, მრავალი სპეციალიზებული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, 70-მდე სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური, 600-ზე მეტი აფთიაქი, 60-ზე მეტი კეთილმოწყობილი კურორტი, 22 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 17.000-მდე ექიმი, 60 ათასამდე საშუალო და უმცროსი სამედიცინო მუშაკი, ათასობით პროვიზორი და ფარმაცევტი.

საქვეყნოდაა ცნობილი, რომ დღეს საქართველო მაღალი კულტურის მქონე მოწინავე რესპუბლიკაა; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ იგი აღიარა სამედიცინო სწავლებისა და მოწინავე გამოცდილების ბაზად.

ჩვენს სახელმწიფოში ყველა პირობაა შექმნილი ქალის კეთილდღეობის ამაღლებისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება-გაუმჯობესებისათვის. 1917 წლის 28 დეკემბერს ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. ამ ისტორიულმა დოკუმენტმა ფასდაუდებელი როლი შეასრულა ამ კეთილშობილური საქმის განვითარებაში.

იმ დღიდან მოყოლებული ინტენსიურად იქმნება დედათა და ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებები. ამა თუ იმ დაავადების დროულად გამოვლინების მიზნით ფართოდ ტარდება ქალთა პროფილაქტიკური შემოწმება და, საჭიროების შემთხვევაში, ხდება ავადმყოფის დისპანსერიზაცია.

ქალის მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების შესაბამის კათედრებს.

დღეისათვის საქართველოში ქალთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას სამოცამდე სამშობიარო სახლი, 270-ზე მეტი ქალთა კონსულტაცია, ასობით სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, 1.000-ზე მეტი მეან-გინეკოლოგი, 2.500-მდე ბებიაქალი და საპატრონაჟო და.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვის აღზრდაზე ზრუნვა მისი ჩასახვის პერიოდიდან იწყება. ამაზე ნათლად მეტყველებს ის პრივილეგიები და შეღავათები, რომლებიც ორსულ ქალს აქვს მინიჭებული: უფასო სამედიცინო მომსახურება, სადეკრეტო შვებულების ანაზღაურება, უფასო შვებულება ჩვილბავშვებიანებისათვის და ა. შ.

ბავშვის მოვლა-პატრონობა და აღზრდა განსაკუთრებული პასუხსაგები საქმეა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გვყავდეს ჯანსაღი, ჰარმონიულად განვითარებული თაობები.

ჩვენს რესპუბლიკაში 30-ზე მეტი კეთილმოწყობილი ბავშვთა საავადმყოფო მუშაობს. ამ საავადმყოფოებში გახსნილია უროლოგიური, ლარინგოლოგიური, ნერვული და სხვა განყოფილებები. ნორჩი თაობის განკარგულებაშია 30-მდე სანატორიუმი, მრავალი ბავშვთა პოლიკლინიკა და კონსულტაცია, ასობით ბაგა-ბაღი, პიონერთა ბანაკები, გადაუდებელი დახმარების სადღეღამისო საგუშაგოები, პედიატრიული ჯგუფები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სხვა მრავალი დაწესებულება. ყოველივე ეს მტკიცე გარანტიას იძლევა, რათა აღიზარდოს ჯანსაღი, გონებრივად განვითარებული ახალგაზრდა თაობა.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის სისტემა მტკიცდება და ვითარდება ლენინური იდეებისა და დეკრეტების საფუძველზე. ამ დარგის მუშაკებს გზას უნათებს მშრომელი კაცობრიობის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ჩაუქრობელი გენია.

მუხრან მაჭავარიანი

# ლენინის ქუჩა

გუშინ,
ნაშუადღევს,
საათის ორზე —
ამოვიარე რა რუსთველის პროსპექტი,
პროსპექტი — საყვარელი ყველა თბილისელის,
პროსპექტი — ყოველ ღამე ხოხბებით სავსე —
აღმოვჩნდი ლენინის ქუჩაზე.
შევჩერდი.
შევნიშნე კედელზე აკრული ქაღალდი:
— გვესაჭიროება მჭედლები, დურგლები! —
ეწერა ქაღალდზე ასე.
მე ვარ სტუდენტი...
ავანთე პაპიროსი და აუღელვებლად განვაგრძე გზა...
დღე იყო საამური,
დღე,
როცა არ გჯერა, რომ კაცი მოკვდავი არი.
იმ დღეს
საიდანმე ჩემს დასაჯერებლად რომ გამოეტანათ კუბო,
— კაცი უკვდავია! — ვიტყოდი დღის კარნახით, —
სტყუის! ეგ არ არის მკვდარი!
გაზეთის დაფასთან შევჩერდი
(გამახსენდა წუთის წინ ნანახი ქაღალდი).
გაზეთში ეწერა:
— იზრდება უოლ-სტრიტზე უმუშევართა ტალღა!
უმუშევარო!..
რაც უნდა გერქვას შენ:
ჯეკი, მარტინი, გინდ ჯონი!
ვიცი: დამშეული, გამათხოვრებული...
რესტორანთან დგახარ ახლა.
— რატომ?!
აი რატომ:
მანდ, ამერიკაში, არ არის ლენინის ქუჩა!
ვიდრე არ გაჩნდება მანდ ლენინის ქუჩა, —
მშიერი იქნები, ჯონ!
— დაარქვი ბროდვეის ლენინის ქუჩა!
— ძნელია?!
— არ არის შიმშილზე ძნელი!
დაარქვი, თუ გინდა იცხოვრო კაცურად,
დანაყრდე, გამართო წელი!

1952 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინიანა



ვალოდია



მამის კაბინეტში

**გთავაზობთ მხატვარ ნიკოლოზ ჟუკოვის ბოლო ნამუშევრებს, მიძღვნილს დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი.**

(სსრკ სახალხო მხატვრის ნ. ნ. ჟუკოვის წიგნიდან „ლენინი“)

მაშინ 15 წლისა ვიყავი. სკოლის კედლის გაზეთს ვაფორმებდი, და ლენინის პორტრეტის გადახატვა მომიხდა. დიდი გულმოდგინებით, სიყვარულითა და ამოუხსნელი მღელვარებით ვმუშაობდი, ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ლენინის სახესთან...

1940 წლის დასასრულს შევუდექი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახეზე მუშაობას. ხელოვანისათვის არა არის რა იმაზე უფრო წარმტაცი ამოცანა — აღადგინო სახე ამ ყველაზე უფრო ადამიანური ადამიანისა, ვისი სიბრძნე, უბრალოება და მომხიბვლელობა სიკვდილიდან ათეული წლების შემდეგაც იპყრობს მილიონობით გულს.



ყმაწვილობაში

იმისათვის, რომ დამეჭირა სიმართლე ლენინის ხასიათისა, მიმოხვრისა, გამომეტყველებისა, ხშირად დავდიოდი იმ ამხანაგებთან, რომლებიც ახლოს იცნობდნენ ვლადიმერ ილიას ძეს.

მეტად ძვირფასი იყო შეხვედრა ფინელ მწერალ ქალთან — ჰელა ვუოლიიოკთან. 1907 წელს ლენინი დაბა ოგლბიუში ცხოვრობდა (ფინლანდია), მემანქანე ბლუმქვისტთან, და იმ ბიბლიოთეკაში უხდებოდა მუშაობა, საიდანაც ხშირად მიჰქონდა ხოლმე წიგნები ჰ. ვუოლიიოკს.

— ყველა, ვინც თვალყურს ადევნებდა ლენინს, — იგონებს ჰელა, — გაკვირვებული იყო მისი უნარით — მოესმინა ადამიანებისათვის. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს მისი თანამოსაუბრე მეტად საჭირო კაცი იყო მისთვის. თითქოს მთელი სიცოცხლე მას დაეძებდა და აჰა, აგერ იპოვაო. ისე აქტიურად, ისეთი ყურადღებით შეეძლო ესმინა ადამიანისათვის.

ლენინის ამ საოცარ ყურადღებაზე გვიამბობს ბევრი მოგონება და მე მივხვდი, რომ ადამიანებისადმი ყურადღების ასეთი აქტივობა ლენინის ბუნების მთელი არსით აიხსნება, საზოგადოების ინტერესებით ცხოვრების მისი განუმეორებელი ნიჭით აიხსნება.

როდესაც ლენინის სახეზე ვმუშაობ, ყოველთვის იქითკენ მივისწრაფი, რომ ჩავწვდე უდიდეს ადამიანურ სიმართლეს, გამომსახველობას, და მხოლოდ მაშინ ვკმაყოფილდები, როდესაც ეს გამომსახველობა ზუსტად მიესადაგება ლენინის შინაგან არსს, მის ინდივიდუალობას.

რა არის აუცილებელი მხატვრისათვის, რომელიც უკვდავი ლენინის სახის შექმნას ცდილობს? — ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღრმა შესწავლა, რევოლუციური ძვრების ღრმა გაგება, იმ დეტალების თუ წვრილმანების სათუთი შეკრება, რომლებიც ლენინის სახის მართალ გახსნაში გვეხმარებიან...

„ისკრა“



ეროვნული ბიბლიოთეკა




მთელი
ძალაუფლება
საბჭოებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## სიმართლე ცხოვრებისა, სიმართლე ხელოვნებისა

ჩემს შემოქმედებაში მე ყოველთვის ვისწრაფვი ისეთი თემები ვნახო, რომლებიც ლენინის მოქმედების ზნეობრივსა და სულიერ სიმაღლეზე მეგყველებენ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ლენინი ხშირად წარმოთქვამდა ფრაზას: „მოვეთათბიროთ მარქსს", — მარქსის ნაშრომს ხსნიდა და კითხულობდა.

ამ თემაზე მე ავგოლითოგრაფია შევქმენი, — ლენინი თავის კაბინეგის სამუშაო მაგიდასთან. უკან წიგნებით სავსე თაროებია აღმართული. ეს წიგნები სიმბოლოა კაცობრიობის მეცნიერული და კულგურული განვითარების ისგორიისა.

საუკუნის მეოთხედზე მეგია, რაც ლენინის სახეზე ვმუშაობ, მაგრამ მაინც ასე მგონია, რომ მხოლოდ ახლა ვიწყებ იმის ჩაწვდომას, რისთვისაც ასე ვისწრაფვი წლების მანძილზე. ამჟამად ვქმნი კომპოზიციებს, სადაც ვცდილობ ავსახო ლენინი ხალხთან ერთად, რევოლუციური მოვლენების დროს.

1968-69 წლების ბოლო ნამუშევრებში კვლავ ვაგრძელებ ჩემს დიდიხნისეულ შემოქმედებით ძიებას. ამ ნამუშევრებს ისე ვუყურებ, როგორც ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების მხოლოდ ახალ ეგაპს, განუწყვეგლივ ვსწავლობ ლენინის უკვდავ სახეს, და იქითკენ მივისწრაფი, რაც შეიძლება სრულყოფილად განვასახიერო იგი ხელოვნებაში. ამაში ვხედავ ჩემი ცხოვრების მთავარ საქმეს.

**ნ. ჟუკოვი**



შემთხვევა
გორკაში

# ლენინური დეკრეტები მოქმედებაში



ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური

თითქმის ამ ნახევარი საუკუნის წინათ, სრულიად რუსეთის საბჭოების მერვე ყრილობამ მიიღო რუსეთის ელექტროფიკაციის (გოელრო) ლენინური გეგმა, რომელიც არსებითად წარმოადგენდა სოციალიზმის მშენებლობის მეცნიერულად დამუშავებულ პროგრამას. ეს გეგმა გულისხმობდა სულ 1 მილიონ 750 ათასი კილოვატი ენერგეტიკული სიმძლავრის ჩაყენებას სახალხო მეურნეობის განვითარების სამსახურში.

ახლანდელი უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ, თუ რა ვითარებაში და როგორ დაიწყო საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ზრდისა და გაფართოების საფუძვლის ჩაყრა.

ქართული ენერგეტიკის გიგანტის — მილიონნახევარზე მეტი კილოვატის სიმძლავრის ენგურჰესის მშენებლებს დღეს თავაზიანობის მანიშნებელ ღიმილს თუ მოჰგვრის იმის გახსენება, თუ როგორი უზარმაზარი გვეგონა ზაჰესი, როგორი აუწერელი სიხარულით, ნამდვილად ეროვნული ზეიმით აღნიშნა ქართველმა ხალხმა 37-ათასკილოვატიანი ზაჰესის ამუშავება 1927 წლის 27 ივნისს. ამ დღეს პირველად გაჩირაღდნდა ჩვენი დედაქალაქი, პირველად ამოძრავდნენ მტკვრიდან მოტაცებული ელექტროენერგიით მაშინ არცთუ ამჟამინდელივით მრავალრიცხოვან საწარმოთა მანქანები და დანადგარები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინის დეკრეტები მოქმედებაში



ენგურჰესის მშენებლობაზე

...და ჭადარა დედა-მდინარის პირველ კაშხალთან, მომავალ დიად გამარჯვებათა გაუხუნებელ სიმბოლოდ აღიმართა ძეგლი იმ ადამიანისა, რომელმაც უჩვენა მაშვრალ კაცობრიობას ბედნიერი მერმისის გზა, ძეგლი ვლადიმერ ილიას ძე ლენინისა, რომლის მახლობლად გავლილ კაცს ხელი თავისთავად აღემართება, რათა ქუდი მოიხადოს ბუნების სიზვიადის დამძლევი ადამიანის პატივსაცემად.

დიდი დრო არ გასულა ზაჰესის ამუშავების შემდეგ, რომ მას გვერდით ამოუდგა რიონჰესი, რომელმაც დასაბამი მისცა „სავარდო და სამაისო" ქუთაისის ინდუსტრიალიზაციას, ზესტაფონის მეტალურგიას, ამიერკავკასიის რკინიგზის სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციას.

დადგა საქართველოს მცირე მდინარეთა ენერგიის ათვისების პერიოდი. ამუშავებულ იქნენ აბჰესი, აჭარისწყალისჰესი, ბჟუჟჰესი, ალაზანჰესი, რიცეულჰესი, ჯეჯორჰესი და მრავალი სხვა, სულ 260 მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროცენტრალი, რომლებიც სახალხო მეურნეობას კვებავდნენ და ამჟამადაც კვებავენ 66 ათასი კილოვატის სიმძლავრით. მცირე მდინარეთა პოტენციურ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა მიხედვით საქართველოს ტოლი არა ჰყავს. ავტორიტეტულ მეცნიერთა გამოანგარიშებით, საქართველოს მთის პატარა მდინარეებს შეუძლიათ მოგვცენ დაახლოებით 15 მილიონი კილოვატი ელექტროენერგია. მაგრამ თუ ჯერჯერობით ამ დიდი მარაგის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ათვისებული, ეს იმით აიხსნება, რომ მცირეძალიანი ჰიდროელექტროსადგურების აშენება და ექსპლოატაცია ძვირი ჯდება (გზების გაყვანა, მექანიზმების გამოსაყენებელი ფრონტის შეკვეცილობა, სადგურების მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი უბნების გაშენება და ა. შ.) და, ეკონომიკის თვალსაზრისით, მაინცდამაინც დიდად ხელსაყრელი არ არის, ამან გამოიწვია შეყოვნება საქართველოს მცირე მდინარეების ენერგეტიკული ათვისების საქმეში და ყურადღების გადატანა კვლავ მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. ამის შემდეგ საქართველოს სახალხო მეურნეობის ელექტროენერგიით მკვებავ წყაროებს — ზაჰესსა და რიონჰესს შემოემატნენ პირველი ხრამჰესი, ჩითახევჰესი, შაორჰესი, სოხუმჰესი, შემდგომში — გუმათჰესი პირველი და გუმათჰესი მეორე, ტყიბულჰესი, ორიგინალური და გონებამახვილური სქემის ლაჯანურჰესი, საბჭოთა კავშირში პირველი თაღოვანი კაშხალით საცდელ-ექსპერიმენტული ორთაჭალჰესი, მეორე ხრამჰესი.

ზოგი ამ დასახელებული სადგურის სიმძლავრე ორმაგად და სამმაგად მეტია ზაჰესის სიმძლავრესთან შედარებით, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს სადგურები გვაძლევენ „თეთრი ნახშირის" ენერგიას, რაც განსაკუთრებით ხელსაყრელია ეკონომიკის თვალსაზრისით, რადგან იაფია. გარდა საშუალო სიმძლავრის ამ ჰიდროელექტროსადგურებისა, საქართველოს ელექტროენერგიის ქსელი გამდიდრდა ტყვარჩელის, თბილისის და რუსთავის მძლავრი თბოელექტროცენტრალებით. მარტო ჩვენი რესპუბლიკის თბოელექტროცენტრალები ახლა იძლევიან იმდენ ელექტროენერგიას, რასაც იძლეოდა რევოლუციამდელი რუსეთის მთელი იმპერია.

ვოლხოვის, ზაჰესისა და შემდეგ დნეპრჰესის მშენებლობანი გადაიქცნენ იმ სკოლებად, რომლებმაც აღგვიზარდეს ენერგეტიკოსმშენებელთა სახელოვანი კადრები, ვოლგის, ანგარის, ენისეის, თუნდაც ჩვენი გიუმაჟი ენგურის დამმორჩილებლები.

საბჭოთა ენერგეტიკოსების ოპტიმიზმს ვერაფერი დაჩრდილავს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ „თეთრი ნახშირის" — მდინარეთა ენერგეტიკული რესურსები ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში პრაქტიკულად ამოუწურავია, მეორეც იმიტომ, რომ კაცობრიობამ მიაგნო ახალ ენერგეტიკულ წყაროს — ატომს და ახლა ატომური ენერგეტიკა უდიდესი სისწრაფით ვითარდება. 1954 წელს მოსკოვმა მიიღო მსოფლიოში პირველი აესის (ატომური ელექტროსადგურის) დენი. მას მერე განვლო ათიოდე წელიწადმა და აესები ამუშავდნენ ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იტალიაში და სხვაგან.

უკვე დამუშავებულია ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ახალი პერსპექტიული გეგმა. გათვალისწინებულია ატომური ელექტროსადგურების ქსელის გაფართოება, ჰიდროაკუმულაციური და გაზტურბინიანი ელექტროსადგურების აშენება. უკვე მონიშნულია 2 მილიონი კილოვატის სიმძლავრის აესის აშენება და 50 მილიონი კილოვატის სიმძლავრის მდინარეთა ენერგიის ათვისება. ამგვარად, ჩვენი ქვეყანა მტკიცედ უახლოვდება ელექტროენერგიის მსოფლიო ოლიმპს.

დ. ლომთაძე

# ქალები ლენინის სახელობის მაღაროდან

## სადაც დღე-ღამეს ზღვარი არა აქვს

ჯერ დღის სინათლე შეგყვება რამდენიმე მეტრზე, მერე ელექტრონის შუქი გაგიკვლევს გზას; შორს, სადღაც, სიღრმეში ვარსკვლავები აციმციმდებიან, ამოძრავდებიან და თანდათან მოგიახლოვდებიან ფარნებიანი მაღაროელები, თავაზიანად მოგესალმებიან და გზას განაგრძობენ.

საოცარი სიმშვიდეა გვირაბებში, დროდადრო ამ სიმშვიდეს ელმავლის ხმაური კვეთს, ელმავალი შავი ქვით პირთამდე სავსე ვაგონებს გასასვლელისაკენ მიაქროლებს...

ასეა ყოველ დღე, ყოველ ღამე; დღესა და ღამეს აქ ზღვარი არა აქვს. დრო აქ საათებით როდი იზომება, მას თითოეული მუშის, თითოეული ცვლის მიერ მონგრეული მადნით ზომავენ, რომელიც დღითიდღე იზრდება, იზრდება ზეგეგმითი მარგანეცის ტონები, იქმნება შრომის დიდებული მატიანე, რომლის ფურცლებს სწერენ უბრალო და ალალმართალი, შრომასა და მაღაროზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანები.

როცა სიტყვა მაღაროზე და მაღაროელებზე ჩამოვარდება, რატომღაც მხარბეჭიან, მთასავით ვაჟკაცებს წარმოვიდგენთ ხოლმე. რა თქმა უნდა, მაღაროელის შრომა უაღრესად ვაჟკაცურია, მაგრამ ქალი დღეს რაში უდებს ტოლს მამაკაცს! —არც სამთო წარმოებაა მათთვის უცხო. ქართული მარგანეცის სამთო წარმოებაში, ჭიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანეცის ტრესტის მაღაროებსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში ასობით ქალი შრომის სასახელო მაგალითებს იძლევა; შეუპოვრად დააბიჯებენ ისინი მიწისქვეშა გვირაბებში, გამამდიდრებელ ფაბრიკებში მანქანების გვერდით დგანან და მადნის გამდიდრების რთულ პროცესებს ადევნებენ თვალყურს. ქალები ნერგავენ ტექნიკის სიახლეს, აუმჯობესებენ მუშაობის პროცესებს.

რამდენიმე სამთოელ ქალზე გვინდა გესაუბროთ. ისინი ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ერთ-ერთ უძველეს და დიდ საწარმოში — ლენინის სახელობის მაღაროში მუშაობენ. ეს მაღარო ამაყად ატარებს დიდი ბელადის სახელს. აქ მომუშავე ქალებს თავდადებული შრომით, კარგი ქალობით სიყვარული და პატივისცემა აქვთ დამსახურებული.

## რა სწრაფად გადის დრო!

— რიმას დაურეკე, ფეთქადი მასალა არ იკმარებს.

— რიმამ შეამოწმოს, იქნებ შპურები სწორად არ არის დაჭრილი.

— რიმამ ნახოს...

განუწყვეტლივ ისმის მაღაროში ეს სახელი. რიმა კი, ვინ იცის, რომელ სანგრევშია და მთასავით მაგარი ქანების დაბურღვისა და აფეთქების ეფექტურობას აკვირდება, რომელ უბანში ანაწილებს ფეთქად მასალას?!

რიმა ფერაძე ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერია, როცა ლენინის სახელობის მაღაროში მოვიდა, მაშინაც ინჟინერი, მაგრამ ახალგაზრდა, შრომაში გამოუცდელი გოგონა იყო; ისე გაბედულად შეაბიჯა მაღაროში, ისე ვაჟკაცურად დადიოდა მის გვირაბებში, რომ ხელმძღვანელობამ მას საკმაოდ რთული საქმე მიანდო: ბურღვა-აფეთქების საქმის ხელმძღვანელობა ლენინის სახელობის მაღაროში. ინჟინერმა ქალმა ამ რთულ პროცესში საკმაო გაუმჯობესებაც შეიტანა. სწორედ მისი ინიციატივით მოხდა ქანების ღრმა შპურვის მეთოდის დანერგვა ორმეტრიანი ბურღის სპირალებით, რამაც ორმაგად გაზარდა მონგრეული მადნის რაოდენობა...

ვერა მაჭარინდაშვილი



მალინა მავზავა



ლილი ქამუშაძე



ტატიანა სამხარაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



რიმა ფერაძე

ფოტო დ. იაკობაშვილისა

და ყოველ დღე ყრუ ექოსავით გაისმის გვირაბებში აფეთქების ხმა. წუთით ბული ჩამოწვება სანგრევში, დამძიმდება ჰაერი, სუნთქვა გაჭირდება, მაგრამ მერე ცივი სიო დაუბერავს...

ჰაერი... რა აუცილებელია იგი მიწის ქვეშ, მიწის ზემოთ კი თითქოს ვერც ვგრძნობთ მის საჭიროებას. მაღაროში სუფთა ჰაერის მიწოდებას ორი ცვლა ემსახურება და ორივეს ქალები ხელმძღვანელობენ: მაღაროს ვენტილაციის ცვლის უფროსები ლეილა ცუცქირიძე და ლილი ქამუშაძე.

ქართული მარგანეცის ქალაქში დაუწერელი კანონი არსებობს, საშუალო სკოლას დაამთავრებ თუ არა, წარმოებას უნდა მიაშურო. ასე ჰქნეს ლეილამაც და ლილიმაც. ჯერ მუშები იყვნენ, მერე სტუდენტები გახდნენ, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობდნენ, ახლა ინჟინრები არიან და მაღაროში პასუხსაგებ საქმეს ხელმძღვანელობენ.

— არ გიჭირს მთელი დღე მიწის ქვეშ ყოფნა? — ლილის ეღიმება და მოულოდნელ პასუხს იძლევა:

— არა, მაღაროში სწრაფად გადის დრო. სანამ უბნებს დაივლი, შეამოწმებ, სად როგორი ვენტილაციაა, სამუშაო საათებიც მთავრდება და ასე გგონია, კიდევ რაღაც დაგრჩა გასაკეთებელი.

ლილი და ლეილა ერთმანეთს ენაცვლებიან, ერთმანეთის დაწყებულ საქმეს აგრძელებენ.

## როცა მადანი „კეთილშობილდება"

ვიდრე მაღაროდან გამოტანილი მარგანეცი მეტალურგიული ქარხნებისაკენ გზას გაუყვება, გამდიდრების საკმაოდ რთული პროცესი უნდა გაიაროს. ამ პროცესს სამთოელები მადნის „გაკეთილშობილებას" უწოდებენ.

ლენინის სახელობის მაღაროს გამამდიდრებელი ფაბრიკის გამგის, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის ალექსანდრე მოდებაძის კაბინეტში ვართ და მადნის „გაკეთილშობილებაზე" ვსაუბრობთ. ესეს არის მოვრჩით ფაბრიკის დათვალიერებას და ახლა შთაბეჭდილებებს ვუზიარებთ ერთმანეთს. ცვლის უფროსს ვენერა გაფრინდაშვილს კედელზე მიმაგრებულ სხვადასხვა ფერის პატარა ნათურებისკენ უჭირავს თვალი. უცებ ნათურები ჩაქრა და ვენერას მოუსვენრობა დაეტყო, დღეს მისი ცვლა „აკეთილშობილებს" მადანს, ალბათ რაღაც შეფერხებაა.

— რატომ გაჩერდით? — ეკითხება დისპეტჩერს ტელეფონით. რომელიმე მანქანის შეფერხებამ შეიძლება მთელი ფაბრიკის მუშაობა შეაჩეროს. აი, რამ შეაშფოთა ცვლის უფროსი.

ისევ აინთო ნათურები გამგის კაბინეტში. ვენერა მაინც ვერ ისვენებს. საიმედო ხალხი ჰყავს ცვლაში, მაგრამ თუ თვითონაც მანქანების გვერდით არ დგას, თავს მშვიდად ვერ გრძნობს.

ვენერა გაფრინდაშვილის ცვლაში ბევრი ქალია, მათ შორისაა სამტვრეველას მემანქანეები ვარვარა ღლანიძე და ტატიანა სამხარაძე, რომელთაც სახელი გაითქვეს შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ვარვარა დღისით მუშაა, საღამოს კი სპექტაკლსაცმელს გაიხდის, ილლიაში წიგნებსა და ნახაზებს ამოიჩრის და სტუდენტის მერხს მიუჯდება, იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების ჭიათურის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. მალე ინჟინერი გახდება და მასაც ცვლას ჩააბარებენ. ტატიანა სამხარაძეს, როცა შრომაში მუყაითობა შენიშნეს, საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, ხალხის ბედზე ზრუნვა მიანდეს.

კარგად უძღვებიან თავის საქმეს ცვლის ენერგეტიკოსი ლიანა გაფრინდაშვილი, კლასიფიკატორის მემანქანე გალინა გვაზავა და მრავალი სხვა.

ახალგაზრდა ინჟინრის ვენერა გაფრინდაშვილის ცვლა გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს. როცა ვკითხეთ, რით აღწევ ამასო, გვიპასუხა:

— უპირველეს ყოვლისა, საწარმოო შრომის დისციპლინის განმტკიცებით. მუშას პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ჰქონდეს. უნდა იცოდეს, რომ მისი თითქოს და პატარა, შეუმჩნეველი შრომა დიდი წვლილია სახალხო დოვლათის შექმნაში.

გვჯერა ვენერას სიტყვების, გვჯერა, რომ ქართველი სამთოელი ქალების წვლილი მართლაც დიდია ამ ვაჟკაცურ, ქვეყნის სადიდებელ შრომაში.

ისინი ბელადის სახელობის მაღაროდან არიან და განა შეიძლება, მათი შრომა არ იყოს სასახელო!

ლეილა გიწაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინის ორდენოსანი



მისი სოფელი ლანჩხუთის ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ მთაზე ჩიტის ბუდესავითაა შედგმული. მთა მწვანეშია ჩამჯდარი, გზები ელვასავითაა დაკლაკნილი, ეზო-ბაღები ასაკინძად მომზადებულ წიგნის ფურცლებს მოგაგონებთ. სახლები კი — ამ ფურცლებზე დასმულ მთავრულ ასოებს. დიახ, ეთერის სოფელი ნამდვილად წიგნია, გმირობისა და სიმამაცის, სიყვარულისა და მეგობრობის წიგნი, რომელსაც დაკვირვებით წაკითხვა და გაგება უნდა.

— სწავლა სინათლეა! — უთხრეს ეთერს და სოფლის რვაწლიან სკოლაში მიაბარეს. აქ ისწავლა წერა-კითხვა, აიყარა ტანი და უფრო ღრმად იგრძნო მშობლიური ქვეყნისა და სოფლის სიყვარული.

მისი სოფელი ასე როდი ყოფილა ადრე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აქაურებს სანატრელი ჰქონდათ სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, კარგი გზა, სინათლე, ოდა-სახლი, წლის სარჩო, საექიმო უბანი და ყველა ის სიკეთე, რაც დღეს ასე უხვადაა სოფელში.

შეხედავ თანამედროვე ზემოაკეთს და გიხარია, რომ მის გორაკიან კალთებზე შეფენილია ციტრუსების პლანტაციები, ხარობს ხეხილის ბაღები, ველ-მინდვრებში ღელავს სიმინდის ყანები. ტკბილი სიმღერა და სიცილ-კისკისი ავსებს მიდამოს, ხალხი კმაყოფილია თავისი ბედით, სოფელი შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობს.

ყოველივე ეს კი კოლექტიურმა შრომამ, დიდი ლენინის ისტორიული გეგმის განხორციელებამ მოიტანა.

სოფელი პატივს სცემს შრომისა და ბრძოლის ვეტერანებს, არ ივიწყებს მათი ბედნიერებისათვის თავდადებულ რაინდებს, ცენტრში მოწყობილი სტენდიდან იღიმებიან ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლე დათმეს დიდ სამამულო ომში, რათა მტერს იავარად არ ექცია ჩვენი სოფლები და ქალაქები. მათ შორის ეთერის მამაცაა, იმ ქარცეცხლიან დღეებში წასული და შინმოუსვლელი.

გმირები გმირობისაკენ უხმობენ შვილებს. ეთერსაც ხშირად ესმოდა შინმოუსვლელი მამის დარიგება. საყვარელი ხმა შთააგონებდა ქალიშვილს მამულისა და ხალხისადმი ერთგულებას, შრომის სიყვარულსა და სიწმინდეს.

არც უღალატნია მშობლის სურვილისათვის არა მარტო ეთერს, არამედ ოჯახის არც ერთ წევრს. დედა 1943 წლიდან მარტო ზრდიდა სამ მცირეწლოვან ქალ-ვაჟს, ჩხაიძეთა კერაზე არ აქრობდა ნაღვერდალს, ბრწყინვასა და ნათელს უმატებდა ერთგული მეუღლის — ვლადიმერის სახელს.

სოფლისათვის ძირითადი შემოსავლის წყარო ჩაია. მისი მოვლა-პატრონობა დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ ეთერის დედა შუშანა ჩხაიძე როდი შეუშინდა სირთულეს. იგი კალათით ხელში კრეფის მთელ სეზონს თმახუჭუჭა ბუჩქებთან ატარებდა. პატარა ეთერიც სწავლისაგან თავისუფალ დროს მასთან ერთად კრეფდა ნაზ, საამო დუყებს, ვაჟები მამაკაცებს დაყვებოდნენ ყანასა და ციტრუსებში სამუშაოდ.

ეთერი ხელხვავიანი მკრეფავი გამოდგა, მას არაერთხელ მიუღია გარდამავალი დროშა, რომელიც სკოლის დირექციას ჰქონდა დაწესებული შრომაში საუკეთესო მოსწავლისათვის.

იზრდებოდა ეთერი და მასთან ერთად იზრდებოდა მისი შრომითი მაჩვენებლებიც.

სოფლის რვა კლასდამთავრებულ გოგონას კოლმეურნეობაში დარჩენა სურდა, მაგრამ თანატოლები შეუჩნდნენ და ამ განზრახვაზე დროებით ხელი ააღებინეს. მხოლოდ 1958 წელს, როცა ბათუმის საბუღალტრო ტექნიკუმი დაამთავრა, მაშინ შეძლო განზრახვის სისრულეში მოყვანა. თანასოფლელები ინტერესით ადევნებდნენ თვალს ეთერის საქმიანობას და უკვირდათ, რომ იგი ორმაგად და მეტად ასრულებდა ჩაის კრეფის დღიურ დავალებას. რა იყო ამის მიზეზი? პირველყოვლისა, გაპიროვნებული 0,5 ჰექტარი პლანტაციის სანიმუშოდ მოვლა-დამუშავება, შემდეგ კი კრეფის ის საიდუმლოებანი, რაც ეთერმა წლობით შეიმუშავა.

გულმოდგინედ გასხლული პლანტაცია ყოველ წელიწადს უხვად იძლევა ფოთოლს, კრეფა კი ეთერიზეა და ისიც ჯადოქარივით ტრიალებს ბუჩქებთან, მაქოზე სწრაფად ამოძრავებს თითებს, შეუჩერებლად, დარსა და ავდარში კრეფს მზენაწურ ფოთლებს და ამდიდრებს სოფელსაც და ოჯახსაც. კოლმეურნეობაში მუშაობის 12 წლის მანძილზე ეთერ ჩხაიძეს 100 ტონაზე მეტი ფოთოლი აქვს მოკრეფილი. ჩაის ეს რაოდენობა მთელი წლის მანძილზე ეყოფოდა სასმელად ერთი მოზრდილი ქალაქის მცხოვრებლებს. თუ ბოლო წლების მაჩვენებლებს გადავხედავთ, ასეთ სურათს დავინახავთ: 1967 წელს ეთერმა 8,5 ტონა მწვანე ოქრო მისცა სამშობლოს, 1968 წელს — 9, ხოლო შარშან — 9,2 ტონა.

შრომა როდი რჩება დაფასების გარეშე და ეთერის მკერდს ამშვენებს ლენინის ორდენი, მიღებული აქვს მრავალი ქების სიგელი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის პირადი მადლობა, ფასიანი საჩუქრები და ფულადი პრემიები, არაერთხელ ყოფილა სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე.

გამრჯე და მშრომელმა ადამიანმა გაიუმჯობესა საყოფაცხოვრებო პირობებიც, მიწური სახლი ორსართულიანი ოდა-სახლით შეცვალა, შეიძინა თანამედროვე ავეჯი, კეთილმოაწყო ეზო-გარემო, ოჯახი ბარაქით აავსო.

ბევრს მიაღწია ეთერმა, მაგრამ მიღწეულს როდი ჯერდება. წინ ახალი გზები ესახება, გზები შრომისა და დიდებისა, ღიმილისა და ბედნიერებისა. ამიტომაცაა, რომ იგი კვლავ დაუზარებლად საქმიანობს, ამიტომაა, რომ დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელს 10 ტონა ფოთლის მოკრეფას გვპირდება.

რევაზ ლორია

11.3.0.8



ფოტო დ. იაკობაშვილისა

# შესანიშნავი თაოსნობა

ამ რამდენიმე ხნის წინ, ქალთა საბჭოების რესპუბლიკურ თათბირზე საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, სულ მოკლე ხანში გორის რაიონში ბავშვთა სამედიცინო მომსახურებამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიაო. ფაქტები, რომელიც მომხსენებელმა მოიშველია, ზემოთნათქვამი განცხადების უეჭველი დასაბუთება გახლდათ. და მაინც ეს ამბავი ძნელი დასაჯერებელი იყო: სამიოდე წლის წინ გორის რაიონს ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მხრივ რესპუბლიკაში ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეკავა. მაგრამ ახლა, აი ფაქტი, რომელიც არ შეიძლება სიხარულით არ ირწმუნო: 1967 წელთან შედარებით, ჩვილ ბავშვთა ავადობამ რაიონში ორჯერ იკლო, და კიდევ ერთი ფაქტი, რომელსაც დარბაზი ტაშისცემით შეხვდა — გორის რაიონის ერთწლამდე ასაკის ბავშვებს უფასოდ ურიგდებათ სარძევე სამზარეულოს ნაწარმი.

ჩვენ ვინახულეთ გორის რაიონი, ვესაუბრეთ იქაურ პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს, მედიცინის დარგის მუშაკებს, დავათვალიერეთ ბავშვთა ახალი 120-ადგილიანი საავადმყოფო, აღჭურვილი უახლესი დანადგარებითა და აპარატებით, ვინახულეთ სოფლების საექიმო უბნები (ასეთი უბანი ოცდახუთია გორის რაიონში), ვფურცლეთ და ვფურცლეთ საქმიანი მიწერ-მოწერის ქაღალდები, საანგარიშო მოხსენებები და საბუღალტრო დავთრები და სასიხარულო ფაქტების მიღმა თვალნათლივ დავინახეთ დღეები სავსე ათასნაირი საზრუნავით, ეჭვებით და ძიებებით, რომელიც ყოველ დიდ წამოწყებას თან ახლავს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



— გესმით, ჩვენი მდგომარეობა? — მითხრა ბავშვთა საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა თინა ფავლენიშვილმა, — ჩვენ კი არ უნდა გაგვეუმჯობესებინა, არამედ მთლიანად გარდაგვექმნა სამედიცინო მომსახურება. უნდა მოგვენახა ის რგოლი, რომელსაც ხელს ჩავჭიდებდით და საქმეს მთლიანად ამოვწევდით. ამ რგოლის როლი შეასრულა ახალმა ბავშვთა საავადმყოფო-პოლიკლინიკამ, რომელიც გორის რაიონის პედიატრიული სამსახურის ცენტრად იქცა. საავადმყოფო მხოლოდ მკურნალობას კი არ ისახავს მიზნად, არამედ ფაქტიურად ხელმძღვანელობს რაიონის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მთელ საქმეს.

სამედიცინო სამსახურის პირველ ნომერ პრობლემად ჩვილ ბავშვთა დაავადებებთან: რაქიტთან, დიათეზთან, კუჭ-ნაწლავის აშლილობასთან ბრძოლა გამოცხადდა. როგორც ცნობილია, ძირითადში ამ დაავადებათა გამომწვევი მიზეზი არასწორი კვებაა.

როდესაც გულდასმით შემოწმდა რაიონის სოფლები და აღინუსხა ერთ წლამდე ასაკის ბავშვები, აღმოჩნდა, რომ დაავადებულთა უმეტესობა ხელოვნურ კვებაზე იმყოფებოდა. ყველა დედამ იცის, თუ რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული ბავშვის ხელოვნური გამოკვება. დედის რძეს მოკლებულმა ბავშვმა, ნორმალურად რომ განვითარდეს,



ნაწილობრივ მაინც უნდა აინაზღაუროს ქალის რძეში შემავალი უძვირფასესი პროდუქტები, რომლითაც ღარიბია ძროხის რძე. ამიტომ უნიშნავენ პედიატრები დაბადების უკვე მეორე თვიდან ხილის, შემდეგ კი ბოსტნეულის წვენს, ბრინჯის ნახარშს, ხაჭოს, გალესილ კვერცხის გულს, ხორცის ნახარშს. ყველაფერი ეს რომ მოამზადოს, დედას დღეში რამდენიმე საათი დასჭირდება, ჰოდა, თუ იმასაც წარმოვიდგენთ, რომ სოფელში ბევრს საკუთარი ძროხა არა ჰყავს და რძეც საშოვნი და საყიდელი აქვს (ეს კი ხშირად გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული), გასაგები გახდება, თუ როგორი დიდი პრობლემა გადაჭრეს გორის რაიონში.

იმ დიდმა ენთუზიაზმმა, რომელიც ყველა კეთილ წამოწყებას თან ახლავს, და რაიონის ხელმძღვანელობის ენერგიულმა მხარდაჭერამ, შეაძლებინა გორის რაიონის ჯანდაცვის მუშაკებს მოკლე ხანში საავადმყოფოში აემუშავებინათ უახლესი ელექტროდანადგარებით დაკომპლექტებული სარძეო სამზარეულო.

პრობლემა № 2 (ეს პრობლემა მხოლოდ გორის რაიონისთვის არ არსებობდა): პროპაგანდა უნდა გაეწიათ სამზარეულოს ნაწარმისათვის, რომ დედები დაერწმუნებინათ სარძეო სამზარეულოს სიკეთეში. ვერც ამ პრობლემას გადაწყვეტ ერთბაშად. ცნობილია, რომ თბილისში რამდენიმე წელია, რაც გაიხსნა შესანიშნავად აღჭურვილი სარძეო სამზარეულო, რომელიც ორიათას ულუფას ამზადებდა დღეში. მაგრამ ამ ნაწარმის სუსტი პროპაგანდისა თუ მისი მიწოდების ორგანიზაციის ნაკლოვანებების გამო, დღეს სამზარეულო მხოლოდ ხუთას ულუფას ამზადებს.

ამ საკითხის გადაჭრას გორის რაიონში სრულიად ორიგინალურად და შესანიშნავად მიუდგნენ: გადაწყდა, რომ ბავშვები სავსებით უსასყიდლოდ მიიღებდნენ საკვებს. ხარჯების დაფარვა რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იკისრეს.

ალბათ, გაინტერესებთ, რა ჯდება ერთ წლამდე ბავშვის დღიური ულუფა? — ძალიან იაფი — 14 კაპიკი. მაგრამ თვეში ეს 4 მანეთსა და 20 კაპიკს შეადგენს, წელიწადში კი 50 მანეთსა და 40 კაპიკს.

ახლა წარმოიდგინეთ, რამდენი უძუძური ბავშვია სოფელში და დაინახავთ, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თავკაცებმა კარგა მოზრდილი ხარჯები იკისრეს.

აქ საქმეში ჩაება გორის რაიონის ახალი საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის ფერმაც, რომელიც თავისი მოგებიდან გარკვეულ პროცენტებს სარძეო სამზარეულოს ურიცხავს და საქმეც აეწყო.

შეიძლება ითქვას, რომ გორელი მშრომელების პატარა მემკვიდრეები უკვე შევიდნენ კომუნიზმის ეპოქაში.

ყოველ დილით, უთენია, რაიონული საავადმყოფოს შენობიდან ხიდისთავისკენ, ატენისკენ, ბერშუეთისკენ, კარალეთისა, მეჯვრისხევისა თუ სხვა სოფლებისაკენ მიეშურება პაწაწა ბოთლებით დატვირთული ავტოფურგონი. მას სოფლებში უკვე ელიან. მიტანილ საკვებს ათავსებენ კოლმეურნეობების სამედიცინო პუნქტებში. შემდეგ კი პატრონაჟის დები არიგებენ. თუ დედას საკვების წაღება არ შეუძლია, მას შინ მიართმევენ.

საქართველოს მინისტრთა საბჭომ სარძეო სამზარეულოს ახლახან მეორე მანქანაც გამოუყო, რადგან ერთი მანქანა ყველა სოფელს ვერ აუდიოდა.

სარძეო სამზარეულო ორი წელია მუშაობს და სადღეისოდ 2.400 ულუფას ამზადებს. გორის რაიონში ამ ხანებში თითქმის ორჯერ იკლო ჩვილ ბავშვთა დაავადებამ. ამ ორ ფაქტს შორის ჯანდაცვის მუშაკები აშკარა კავშირს ხედავენ.

აი, რა დიდებული საქმის მოთავენი არიან გორელები. ასევე მუშაობს სარძევე სამზარეულო მახარაძეშიც. იმედი გვაქვს, როცა სხვა რაიონების ხელმძღვანელებიც გაეცნობიან, მხარს აუბამენ ამ მშვენიერ თაოსნობას.

ნანული ბარათაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახლო წარსულიდან

## ახალთაობის ადამიანთა ფორმა

რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციონერებსა და მათ თანამგზავრებს 1905-1917 წლებში ჩვენში ახალთაობის ადამიანებს უწოდებდნენ. ცნობილია, რომ ახალთაობის მამაკაცთა ფორმა იყო შავი სატინის მაღალსაყელოიანი ბლუზა. ბლუზას თეთრი ღილები ებნია და მარცხნივ იკვრებოდა. წელზე უმთავრესად თეთფოჩებიან გრეხილს ირტყამდნენ.

ასეთივე ფორმას ატარებდნენ ახალთაობის ქალებიც, ოღონდ ისინი ბლუზის კალთებს კაბაში იტანდნენ.

სურათზე, რომელიც აქვე ქვეყნდება, წარმოდგენილია სოფელ ხიდისთავში (ჩოხატაურის რაიონი) 1888 წელს დაბადებული და 1906-1907 წლებში ფოთში მცხოვრები ქეთევან ჭანიშვილი-ბურჭულაძისა და ფოთის საბუღალტრო კურსების მსმენელი ნინო თავბერიძე. მათ ახალთაობის ფორმა აცვიათ. სურათი გადაღებულია ფოთში 1907 წელს.

ამჟამად პენსიონერი ქეთევან ჭანიშვილი თბილისში ცხოვრობს. აი, რა გვიამბო მან:

— ამ ფორმაში ჩაცმულ ქალებს უცნობი კაციც კი ენდობოდა, უშიშრად მისცემდა მათ საიდუმლო დავალებას. ფორმაში ჩაცმულებს თამამად ისწრებდნენ საიდუმლო კრებებზე. ჩვენც ხშირად ვესწრებოდით ასეთ კრებებს. ახალთაობის მუშების ერთ საიდუმლო კრებაზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი, ცნობილმა მწერალმა ჭოლა ლომთათიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „რას ნიშნავს ამხანაგი".

მახსოვს ერთხელ ჭოლას შევჩივლეთ: ჟანდარმები გვიბღვერიან და გვემუქრებიან — ბლუზები გაიხადეთ, თორემ გაგაციმბირებთო. ჭოლამ დაგვარიგა: უთხარით ჟანდარმებს — სატინას რუსეთის იმპერიაში ამზადებენ და მისი ტარების უფლება ყველას აქვს-თქო.

— ფოთის მუშებმა, — თქვა შემდეგ ქ. ჭანიშვილმა, — ამბაკო ბურჭულაძეს სასადილო გაახსნევინეს. ისინი ამ სასადილოში ტოვებდნენ რევოლუციურ ფურცლებს, იარაღსა და სხვ. ეს ფურცლები და იარაღი ამბაკოს მეუღლეს — ფ. თავბერიძესა და მე დანიშნულ ადგილზე უნდა მიგვეტანა. ცხადია, ფორმით მივდიოდით, ისე ვერ გვენდობოდნენ.

იოსებ მეგრელიძე

# მკერავებისთვის

სანატორიუმი, რომელზეც ახლა გიამბობთ, თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკას ეკუთვნის. მისი მთავარი ექიმი ანა პახლევანიანი ორმოცდაორი წლის გამოცდილების მქონე სპეციალისტი გახლავთ, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ენერგიული და მომთხოვნი, იმედიანი და სამართლიანი, გულითადი და სათნო. უწინ ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი დიდი პოლიკლინიკის მთავარი ექიმი იყო, მუშაობდა ყაბარდო-ბალყარეთსა და ციმბირში.

სანატორიუმში პირველად თვალს მოგტაცებთ უამრავი ყვავილები, ნაირფერად რომ მოუხატავთ თითოეული კუთხე-კუნჭული და თავიანთი საკადრისი მშვიდი განწყობილება გაუმეფებიათ ირგვლივ. ეს ყვავილები ორიოდე წელია გაჩნდა აქ, ჯერ ანას კაბინეტი დაისაკუთრეს, მერე — ნელ-ნელა იმრავლეს, გამობრძანდნენ სხვა ოთახებში, მთლიანად დაიკავეს თაროები, ფანჯრის რაფები.

დერეფანი თუ ოთახები ლბილ და მშვიდ ტონებშია. ავეჯისა და ფარდების ფერი საამოდ ეხამება კედლების ფერს. გასართობი ოთახი განსაკუთრებული გულისყურით მოუწყვიათ. აქ იმართება საღამოები, დისპუტები, საუბრობენ წაკითხულსა თუ ნახულზე, უსმენენ რადიოს, უყურებენ ტელევიზორს, თამაშობენ შაშსა და ჭადრაკს, ისმენენ საუბრებს სამედიცინო თემებზე.

სანატორიუმს ემსახურებიან ახალგაზრდა ექიმი ლიანა ჩარკვიანი, მოწყალების დები — მანია სოსიაშვილი, სედა პახლევანიანი, გალინა ავჩენიკოვა, დიასახლისი — იულია ნადირაშვილი, თამარ დერინა, ნატო ეგნატაშვილი, ნადია არჩვაძე, ნადია ბურმინსკაია და ერთად-ერთი მამაკაცი — მზარეული ხვთისო ქანდარელაშვილი.

ჩვეულებრივი სანატორიუმისაგან განსხვავებით, აქ მუშები წარმოებისაგან მოუწყვეტლად ისვენებენ, თანაც ყველანი ნაცნობ-მეგობრები არიან, ერთმანეთის ავკარგის მცოდნენი, ჭირისა თუ სიხარულის მოზიარენი, თანაფაბრიკელები თუ თანასაამქროელები, ხანშიშესულნი, ახალგაზრდები, სულ 50 კაცი ერთ ნაკადში. საფასურს კი ძალიან ცოტას — 16 მანეთს იხდიან.

განსაკუთრებით შეუმსუბუქდათ მდგომარეობა დედებს, რომელთაც ბავშვის მეთვალყურენი არა ჰყავთ სახლში. ისინი ბავშვებს იქვე, სადღეღამისო ბაგა-ბაღში ტოვებენ და თვითონ სანატორიუმში მკურნალობენ.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბოლოკიანის მკვიდრი, ოცდაორი წლის ლეილა ბეგიაშვილი, რომელმაც სამიოდე წლის წინ ფაბრიკასთან არსებული 43-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და მე-6 საამქროს პირველ ბრიგადაში დაიწყო მუშაობა, ხშირი პაციენტი გახლავთ სანატორიუმისა.

* * *

მობინადრეთა უმეტესობა ახალგაზრდები არიან, მოწინავე გოგონები, დაუზარელნი, ფაბრიკის ღირსების დამცველნი.

ჭიათურელი ვარდო გაფრინდაშვილი, დუშელი ნაზი სინჯარაძე და ნოდარ დანელიშვილი მეშვიდე საამქროში მუშაობენ, სადაც მამაკაცის პერანგები იკერება. ისინი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები არიან, გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ. შარშან გეგმის ზევით 500 ცალი პერანგი შეკერეს.

ზაირა კაპისაშვილი და იზა თედეშვილი ახმეტის რაიონის სოფელ ქორეთის მკვიდრნი არიან. ერთად დაამთავრეს სკოლა, პროფტექნიკური სასაწავლებელიც და ერთადვე მოხვდნენ პირველი საამქროს მეოთხე ბრიგადაში, სადაც ბავშვის პიჯაკებსა და შარვლებს კერავენ. მათთანვე მუშაობენ ნინო სიქტურაშვილი და ვალერი იანტბერიძე. ვალენტინა კირიანოვა — მეექვსე საამქროს მოწინავე მკერავია, შაყვალა ხუციშვილი სადისპეტჩეროში მუშაობს.

ყველანი საღამოს სანატორიუმში ისვენებდნენ, მკურნალობდნენ, იკაჟებდნენ ჯანმრთელობას.

მკურნალობა უფრო ეფექტური იქნება, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმს რომ ჰქონდეს ფიზიო-თერაპიული კაბინეტი, წყლისა და ტალახის სააბაზანოები, საკუთარი ინგალატორი.

ახლო მომავალში გათვალისწინებულია სანატორიუმის შენობის რეკონსტრუქცია, ზემო სართულის დაშენება, ღია ვერანდის მოწყობა მზის აბაზანების მისაღებად. მშენებლობა წელს დაიწყება და ეს იქნება დიდი სასიკეთო საქმე.

თიურა ვაშაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავისათვის

# ქალი „აფხაზეთიდან"



ახლა რომ ნახოთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს აფთიაქის გამგე ნინო მაჩიტაძე, ადვილად წარმოიდგენთ, როგორი მომხიბლავი იქნებოდა იგი ახალგაზრდობაში, მაშინ, როცა ომმა აიძულა შავი ზღვის სამგზავრო ლაინერზე „აფხაზეთზე" ებრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ.

— ძალიან მიყვარს ზღვა, — ამბობს ნინო მაჩიტაძე, — მინახავს იგი ცასავით ნათელიც და კუპრივით შავიც. მინახავს, როგორ სუნთქავდა სიკვდილის სუსხი ზღვაზე, მრავალმა ნახა აღსასრული მის უძირო სიღრმეში. არაერთხელ ჩაუხედავს ჩემთვისაც თვალებში სიკვდილს, მაგრამ ჩვენ ბედმა გაგვიღიმა. შემთხვევით კი არ უწოდეს ჩვენს „აფხაზეთს" ბედნიერი. არაერთხელ გამოვსულვართ ამ გემით ბრძოლის ქარცეცხლიდან.

ნინოს გემზე აფთიაქი ჩააბარეს. საამისოდ ფართო და კეთილმოწყობილი სალონი გამოჰყვეს. გემზე მოეწყო საოპერაციო, შესახვევი პუნქტები. „აფხაზეთის" მყუდრო კაიუტებსა და სალონებში წამლის სუნი იდგა. დაჭრილები ოდესიდან გაჰყავდათ, ზურგში ტოვებდნენ, იქიდან კი ფრონტის შევსება მოჰყავდათ, საბრძოლო აღჭურვილობა და სურსათი ჩამოჰქონდათ.

ოდესასთან გაეცნო „აფხაზეთი" ომის საშინელებას. გემმა ჰაერიდან მრავალი თავდასხმა განიცადა, მაგრამ გადარჩა. საბრძოლო ნათლობამ მშვიდობით ჩაიარა.

„ჩვენს გემზე დიდი ეკიპაჟი იყო. არც მედიცინის მუშაკთა ნაკლებობა იგრძნობოდა. სხვადასხვა ასაკისა და ხასიათის ადამიანებს საერთო საქმე გვაკავშირებდა, ერთ დიდ ორგანიზმად გვკრავდა. ეს ორგანიზმი ზუსტად მუშაობდა, შეუფერხებლად. ყველა თავის საქმეს აკეთებდა, შეხსენების გარეშე. ჩემი მეურნეობა აფთიაქი იყო. ღამით წამლებს ვამზადებდი, რომ დილით დაჭრილებს არ დაკლებოდათ. არავინ არ კითხულობდა, ვისი გაკეთებულია ეს საქმეო — ყველაფერი საერთო იყო და არავის არ სჭირდებოდა ხვეწნა-მუდარა. ზურგში დაბრუნებულთ, რამდენიმე საათი თავისუფალი დრო რომ გვეძლეოდა, ყველა ისეთი ხდებოდა, როგორიც ბუნებით იყო. ზოგი წიგნების საშოვნელად გარბოდა, ზოგი ახალი სამოსისათვის, თუმცა კოხტაობის დრო სადღა გვქონდა, ხშირად ტანზე გაუხდელად გვიხდებოდა დაძინება, და ხალათს ვერ ვიცილებდით.

ჩვენი გემის უფროსი იყო კაპიტანი ბელუხა. გამობრძმედილი წინამძღოლი გვყავდა. განსაცდელის ჟამს ამოდენა ხომალდი მის ხელში სათამაშოდ იქცეოდა, ისე მსუბუქად და ოსტატურად იცილებდა მტრის შემოტევებს, წყალქვეშა ნავისა თუ თვითმფრინავების თავდასხმებს.

კაპიტნის დამსახურება ისიც იყო, რომ შესანიშნავი შეხმატკბილებული კოლექტივი შექმნა.

ოდესა დაეც. შემდეგ სევასტოპოლის ჯერი დადგა. მთელი მისი გმირული ეპოპეის მანძილზე „აფხაზეთი" ამ გმირი ქალაქის სადარაჯოზე იდგა. გერმანელებმა ყოველი მხრიდან ალყა შემოარტყეს, ქალაქ-ნავსადგურში სანოვაგისა და საომარი აღჭურვილობის შეტანა მხოლოდ ზღვით შეიძლებოდა. აი, ამ მძიმე ამოცანის შესრულება იკისრა „აფხაზეთმა".

ყურეში შესასვლელი დანაღმული იყო. ციდან თუ ხმელეთიდან განუწყვეტელი ბომბარდირება მიზნად ისახავდა ამ ერთადერთი ძარღვის გადაჭრას, რითაც ტანჯული ქალაქი „ფართო ქვეყანას" უკავშირდებოდა. მაგრამ „აფხაზეთი" თითქოს მოჯადოებული იყო, არაერთხელ შესულა და გამოსულა ქალაქიდან, საქმე გაუკეთებია, ზიანი კი არ მიუღია.

ქალაქიდან ყოველი გასვლის წინ მას ვეთხოვებოდი, როგორც განწირულ მეგობარს, რადგან წარმოუდგენლად მიმაჩნდა, რომ ადამიანები ამდენ ძნელბედობას, ამდენ ნერვულ დაძაბულობას ვერ გაუძლებდნენ, ამდენ ცეცხლსა და ლითონს, რასაც მტერი დაუზოგავად აყრიდა თავზე, ქალაქი ნანგრევთა გროვად ექცია. წყალი არ იყო. წყურვილი უფრო მძიმე ჩანდა ვიდრე ცეცხლი და ზღვა.

ბრძოლის სიმწვავე სულ უფრო მატულობდა, მატულობდა დაჭრილთა რიცხვიც. მარტო კაიუტებში კი არა, გემბანზეც ვათავსებდით მათ, ბაგირის კიბეებზეც კი, სადაც მხოლოდ ჯდომა ან დგომა შეიძლებოდა. გემი რეზინისა გეგონებოდათ. ქალაქში განგაშის სიგნალს აღარ იძლეოდნენ, მუდამ განგაში იყო, მაგრამ ღამით მაინც მიწყნარდებოდა ხოლმე ბრძოლის ხმაური, გემის დატვირთვა და განტვირთვაც სწორედ ღამით ხდებოდა.

ღამე, როგორც ცნობილია, სამხრეთში უფრო ბნელია, მეტადრე ზღვის ნაპირას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევასტოპოლში კი ცეცხლის რკალში ჩამოწოლილი ღამე ჰგავდა შავ ხავერდს, ალისფრად დაწინწკლულს. ღამეები იყო ხმაურიანი, მოუსვენარი, და მაინც დღესთან შედარებით უფრო წყნარი.

დაჭრილთა გრძელი რიგი იდგა კიბესთან. ყავარჯნები, სახვევი, სისხლი ერთმანეთში იყო არეული. დაჭრილების მოვლა-პატრონობა და შესაფერის ადგილებზე მოთავსება ყველას გვეხებოდა. უფრო მეტად კი ამ მოვალეობას ზღვის ფეხოსანთა რაზმი ასრულებდა, ნამდვილ თავდადებულ ადამიანთა გუნდი, რომელსაც გერმანელები „შავ სიკვდილს" ეძახდნენ.

ზამთრობით მეზღვაურები მეტისმეტად იოლ სამიზნეს წარმოადგენდნენ მტრისთვის, შავი ხიფთანები და ქუდები მათ ცუდ სამსახურს უწევდა. სხვაგვარად ჩაცმა გადაწყვიტეს, მაგრამ ვერ შეელიენ შეჩვეულ სამოსელს.

მრავალჯერ შეიძლებოდა „აფხაზეთი" ზღვის წიაღში ჩაძირულიყო. მრავალჯერ გაისმა ბრძანება — „მაშველი სარტყლებით!" მაგრამ ყველას მაინც არ ეყოფოდა, ამიტომ ერთხმად და ხმამაღლა დაადგინეს: „არავინ მოირგოს მაშველი სარტყელი!"

— ერთხელ თავშესაქცევი ამბავი მოხდა, — იგონებს ნინო, — სევასტოპოლს მივუახლოვდით და უკვე შეტყობინებას ვაპირებდით, რომ საშინელი თოვლი დაგვატყდა თავს, თოვლი და ქარბუქი. ხილვადობა სრულიად გაქრა და გემი ერთიან მცურავ თოვლის გორაკად იქცა. ასეთ პირობებში რადიოთი გამოსვლა და თავის გამომჟღავნება სახიფათო იქნებოდა, უნდა დაგვეცადა. სამი დღე და ღამე ვიცადეთ. დავისვენეთ, გამოვიძინეთ, მრავალი უძილო ღამის დანაკლისი ავინაზღაურეთ. ბანზე გუნდაობაც კი გავაჩაღეთ. რადიოკვანძში კი მთელი ამ ხნის განმავლობაში გაიძახოდნენ: „აფხაზეთო!" „აფხაზეთო!" ნაპირზე უკვე დაღუპული ვეგონეთ. ტყუილად კი არ ეძახდნენ ჩვენს გემს „ქუდბედიანს". ტყვეობაც კი მხოლოდ თოვლში გვიწევდა.

ნავსადგურში რომ ჩავდიოდით, ხალხი დაგვეხვეოდა. ყველას იმედი ჰქონდა, რომ თავისიანებს ნახავდა. ყველას ეგულებოდა ფრონტზე თავისიანები. მოჰქონდათ საჭმელები, ხილი. ბათუმში კი ზამთრობით მანდარინის და ფორთოხლის ფერი სჭარბობდა. თუ ვინმე ყიდდა, ისიც იაფად, თითქმის მუქთად, უფრო მეტად კი სულაც უფასოდ არიგებდნენ.

— ყველაზე ადრე ამ საჩუქრების მსხვერპლი მე ვხდებოდი, — ამბობს ნინო, — ქალები არ მასვენებდნენ, თავიანთი მახლობლების სახელებს მეუბნებოდნენ, იქნებ ნახეო სადმე ფრონტზე, მერე კი თუ რაიმე ჭურჭელი გამაჩნდა, ციტრუსებით მივსებდნენ.

ათი თვე აწყობდა „აფხაზეთი" თავის სახიფათო რეისებს. ნაღმები, ტყვია ჯერჯერობით ყველაფერი ასცდა. მაგრამ დასასრული ჩვენც დაგვიდგა.

1942 წლის 10 ივნისი. უსასრულო ბრძოლებით ქანცგაწყვეტილი სევასტოპოლი. მისადგომები დანგრეულია და ნანგრევებზეც ტყვია წვიმს. სუხარნაია ბალკაში გვიბრძანეს ღუზის ჩაშვება. ეს ერთი უღიმღამო, ნაღვლიანი, უკაცური ყურეა. ღამით მივედით. რაც შეიძლებოდა სწრაფად განვტვირთეთ გემი. ვიცოდით, დილით დაბომბვას დაიწყებდნენ და ღამითვე უნდა მოგვესწრო დაჭრილთა აყვანა. ვჩქარობდით იმიტომაც, რომ მწყურვალი ხალხი გველოდა. ზოგს ორი-სამი დღე წვეთი წყალი არ ენახა.

გარშემო დუმილია, მაგრამ ასეთ დუმილზე როგორღაც ტანში ჟრუანტელი გივლის. უკვე აისის პირველი სხივი დაეცა ზღვას, როცა პირველი აფეთქების ხმა გაისმა, მას მეორე მოჰყვა და დაიწყო... ისეთი დაიწყო, რომ ჭირგამოვლილ „აფხაზეთს" მსგავსი არაფერი ენახა. ჰაერი, წყალი, ხმელეთი ერთნაირად შეძრა იარაღის ქუხილმა.

ადამიანი იფიქრებდა, რომ ყური ასეთ გუგუნს ვერ გაუძლებდა. მაგრამ ყველა ხმა დაფარა ახალმა აფეთქებამ. გემი თითქოს ჰაერში შეხტა და მერე წყალში ჩაყვინთა. პირდაპირ მოხვედრილმა ყუმბარამ გემი თითქოს შემუსრა, მერე ადრიანი დილის რუხ სივრცეში საბედისწერო წითელი ენები ავარდა — ხომალდი იწვოდა.

გაისმა ბრძანება: „დატოვეთ გემი!" მაშასადამე, ყველაფერი გათავდა.

შესახვევი მასალა მოვბოჭე, წამლები ავკრიფე, რამდენიც შემეძლო და თოკის კიბეს მივაშურე. ამ დროს გაისმა კიდევ ერთი ქუხილი. ახლოს საესკადრო ნაღმოსანი იდგა და პირდაპირ გვიმიზნებდა, მაგრამ ეტყობა მასაც პირდაპირ დაუმიზნეს, ნაღმოსანმა სწრაფად იწყო ჩაძირვა.

ჩვენ გვიჭირდა, ფეხქვეშ ნიადაგი გვეწვოდა, ხსნამდე ორიოდე ნაბიჯი გვაკლდა, მაგრამ ტყვიისა და ჭურვის წვიმაში ამ მანძილის გავლა არც ისე იოლი საქმე იყო. აი, გავედით და მოვიხედეთ: ჩვენი „აფხაზეთის" ბანზე საბედისწერო ცეცხლის ენები ირწეოდნენ. ხომალდი ნელა იძირებოდა.

„აფხაზეთი" ვალმოხდილი დაიღუპა, დაიღუპა ზედ მისადგომთან, ხმელეთთან, არა ისე, როგორც გემები ჩვეულებრივად იღუპებიან: თავის მეზღვაურებს ხმელეთზე გზა მისცა.

დაიღუპა „აფხაზეთი" და მასთან ერთად, მრავალი მამაცი მეზღვაურიც. არავითარი ხმაურითა და ვარსკვლავებით არ აღნიშნულა ეს დაღუპვა, მაგრამ ის, რაც ამ გემმა და მისმა ეკიპაჟმა გააკეთეს, გამარჯვების საქმეში შეტანილი წვლილი იყო".

მასში ქართველი ქალის ნინო მაჩიტაძის წვლილიც არის.

**გალინა იოსელიანი**



# წიგნის დიასახლისთა აღმზრდელი

ბიბლიოთეკარები მეტად თავისებური პროფესიის ადამიანები არიან. წიგნებს არ სწერენ, მაგრამ მწერლობა ჩინებულად იციან, მესტამბეები არ არიან, მაგრამ პოლიგრაფიაში საკმაოდ ერკვევიან, მეცნიერები არ არიან, მაგრამ მეცნიერების ყველა დარგში გარკვეული წვლილი შეაქვთ. ერთი სიტყვით, ისინი ყველგან და ყველაფერში მონაწილეობენ, რაიც კი საზოგადოების კულტურულ წინსვლას, ადამიანთა ცოდნით გამდიდრებას შეეხება. ბიბლიოთეკართა აბსოლუტურ უმრავლესობას ქალები შეადგენენ, ამიტომ ისინი წარმომიდგებიან წიგნის დიასახლისებად. როგორც კარგი დიასახლისის ოჯახში შინაური თუ სტუმარი, ახლობელი თუ გარეშე თავს ბედნიერად გრძნობს, ასეთივეა კარგ ბიბლიოთეკართან სტუმრობა და მუშაობა.

აი ასეთ დიასახლისებს, წიგნების მოტრფიალე მუშაკებს ზრდის თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელი, რომელიც მდებარეობს კალინინის რაიონში, ჩაიკოვსკის ქუჩაზე, 42-ე საშუალო სკოლის შენობაში.

სასწავლებელს საკმაო ხნის ისტორია აქვს, იგი არსებობის ოცდაათ წელზე მეტს ითვლის, ამ დროის განმავლობაში მას მრავალი ასეული ბიბლიოთეკარი აღუზრდია და დაუგზავნია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მათგან მრავალს თავი გამოუჩენია ქართული კულტურის და, კერძოდ, წიგნის გავრცელებისა და მოხმარების საქმეში, ბევრი მათგანი სამეცნიერო მუშაობის გზას დადგომია და ენერგიულად მოღვაწეობს პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე. ზოგიც — რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკას ემსახურება.

თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელს ბევრი კარგი პედაგოგი ჰყოლია და ამჟამადაც ჰყავს. მაგრამ ამჯერად სიტყვა გვინდა ჩამოვაგდოთ ამ სასწავლებლის დირექტორ ქეთევან ბერიშვილზე, რომელიც თხუთმეტი წელია სათავეში უდგას მის მრავალრიცხოვან კოლექტივს, ჯერ როგორც სასწავლო ნაწილის გამგე, ხოლო 1959 წლიდან, როგორც დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჭაში დაბადებული და ლაგოდეხის რაიონში გაზრდილი ქეთევან ბერიშვილი 1937-40 წლებში ამ სასწავლებელში სწავლობდა, ჯერ საგარეჯოს კულტურის სახლში მეთოდისტად მუშაობდა, ხოლო 1941 წლიდან ბაშკირეთის რაიონის სოფელ გორონჯუკის არასრულ საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილს ხელმძღვანელობდა, 1945 წლიდან კი იყო თბილისის ნ. კრუპსკაიას სახელობის მასობრივი ბიბლიოთეკის, შემდეგ ოქტომბრის რაიონის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე, 1954 წლიდან ალ. ჯაფარიძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მთავარ ბიბლიოგრაფად იმსახურა და სამუშაოსაგან მოუწყვეტლად წარმატებით დაამთავრა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი. 1955 წლიდან იგი თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელში დანიშნეს, — ჯერ სასწავლო ნაწილის გამგედ, შემდეგ კი დირექტორად.

ქეთევან ბერიშვილი 1936 წელს ლენინური კომკავშირის რიგებში მიიღეს, 1943 წლიდან კი კომუნისტური პარტიის წევრია. მას მრავალი ჯილდო აქვს მიღებული, არჩეულია პარტიის კალინინის რაიონული კომიტეტის წევრად და კალინინის რაისაბჭოს დეპუტატია, ასრულებს რაისაბჭოს სახალხო კონტროლის კომისიის მდივნის მოვალეობას.

თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებლის მოსწავლეთათვის, რომლებსაც უმთავრესად ქალიშვილები შეადგენენ, ქეთევან ბერიშვილი მარტო დირექტორი როდია, ის მათთვის დედაც არის, მეგობარიც, ფიქრებისა და განცდების მესაიდუმლეც, გაჭირვებაში დამხმარე და მშველელი, მკაცრი და მომთხოვნი, ერთგული დამრიგებელი და მშობლიურად მზრუნველი.

ამიტომაა, რომ მას სასწავლებლის დამთავრების შემდეგაც არ ივიწყებენ ახალგაზრდები. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ქეთევან ბერიშვილს მოსდის აღზრდილების ბარათები.

„სამი წლის განმავლობაში ვსწავლობდი თქვენთან. ბევრი ტკბილი და მწარე დღეები გამივლია სწავლის პერიოდში, მაგრამ თქვენს სითბოსა და ყურადღებას რა დამავიწყებს! — სწერს ქეთევანს თიანეთელი სალომე უძილაური, — ვმუშაობ ჩემი რაიონის ბიბლიოთეკაში. მუშაობისას რამე შეცდომა რომ მომივა, მუდამ თქვენ დამიდგებით თვალწინ და საოცრად მერიდება. დღესაც ყურში მესმის თქვენი დამრიგებლური სიტყვები. ვმუშაობ დაკვირვებით, ვცდილობ არ მომივიდეს რაიმე შეცდომა...“

ასეთივე გულწრფელია ქიათურელი ბადრი ტყემალაძის ბარათიც: „საყვარელო ქეთევან მასწავლებელო, რამდენადაც მკაცრი და მომთხოვნი ბრძანდებით, იმდენად უფრო საყვარელი ადამიანი ხართ. დიდი სიყვარულითა და კმაყოფილებით გიგონებთ. დარწმუნებული ვარ, თუ დღეს ჩვენს რაიონში ვმუშაობ, და კარგი და თბილი ოჯახი მაქვს — ეს ყველაფერი თქვენი მზრუნველობის შედეგია“.

1957 წელს კურსდამთავრებულები 9 მაისის მოსალოც ჯგუფურ ბარათში საალერსო სიტყვებს არ იშურებენ ქეთო მასწავლებლისადმი. „ჩვენ საკუთარ დედასავით გვიყვარხართ, თქვენ ისე ზრუნავდით ჩვენზე, როგორც საკუთარ შვილზე, ჩვენ კი — თქვენი აღზრდილები, სამაგიეროს გადაგიხდით ბეჯითი და კეთილსინდისიერი მუშაობით...“

ამგვარივე სასიყვარულო სიტყვებითა და მოგონებებით არის სავსე ელისო ავსაჯანიშვილის (ყაზბეგი), სულმინაზ ჰაბულოვის (საინგილო), თამარ ბალაკაშვილის (თუშეთი), მარინა ქსნელაშვილის (თიანეთი), სვეტლანა ლევჩენკოს (რუსეთი), აზა ნაცვლაძის (ვანის რაიონი), ნაილი ზიბზიბაძის, დარეჯან ბირჩაძისა, ცუგო არგანაშვილის წერილები.

ბარათები ერთმანეთს გვანან, რადგან ისინი ერთიდაიგივე ადამიანისადმი პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავენ.

**ანდრო თევზაძე**



დომინიკა ხანთაძე

# კვლავ ხალხის სამსახურში

ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ თბილისის ყველა რაიონში შექმნილია ბავშვთა ოთახები. ერთ-ერთი მათგანი ბელინსკის ქუჩის დასაწყისში მდებარეობს. აქ მყუდრო, თბილი ბინა დაუდევიათ მიკრორაიონის პატარებს, დილიდან გვიან ღამემდე სხედან პენსიონერი მანდილოსნები და ელოდებიან ნორჩებს. ეს ის მანდილოსნები არიან, რომლებმაც თავის დროზე ბევრი გააკეთეს ხალხისათვის. ერთი მათგანი ძველი პედაგოგი ეკატერინე გაჩეჩილაძეა, მეორე — იურისტი დომინიკა ხანთაძე.

როცა მათი პენსიაზე გასვლის დრო დადგა, ორივენი თითქმის ერთნაირად დანაღვლიანდნენ, საზოგადოებრივი საქმიანობისაგან ჩამოშორება არ სურდათ.

და ვინაიდან ჩვენში პენსიონერთა დიდი არმია სასარგებლო საქმიანობაშია, მათაც ასეთი საქმე გამონახეს — დაიწყეს ბავშვთა ოთახში მუშაობა.

ყველა მშობელს შეუძლია გულდამშვიდებით იმუშაოს, როცა შვილი ამ სანდო ადამიანებთან ეგულება, როცა ბავშვთა ოთახში მას გულთბილად ხვდებიან, არიგებენ, ამეცადინებენ...

იმ დღეს ნიკო გახარებული გამოვიდა ბავშვთა ოთახიდან, დღეს მას ყველა გაკვეთილი მომზადებინა ეკატერინე გაჩეჩილაძემ, ბავშმა კიბე ხალისით ჩამოირბინა და სკოლისაკენ აუყვა გზას.

სკოლიდან გამოსვლისას ნიკო, ბექანი, ლალი, თემური და გია ჯერ ბავშვთა ოთახის მესვეურს მოინახულებენ, კარგ ნიშნებს ახარებენ და მერე დაბრუნდებიან სახლებში.

ეკატერინე მათი პატარა გულების მესაიდუმლეა, იცის, რომელ ბავშვს რომელ საგანში უჭირს, იცნობს მიკრორაიონის ბევრი ბავშვის მომზადების დონეს, ისინი კი ორმოცამდე არიან.

ერთხელ მთელი დღე გადაუღებლად წვიმდა. ორჯონიკიძის რაიონის ბავშვთა ოთახს შეატყობინეს, თოთხმეტი წლის ლუიზა დედინაცვალმა სახლიდან გამოაგდოო. ბავშვის მოძებნა ეკატერინემ ითავა. მთელი დღის ძებნის შემდეგ დააზუსტა, რომ გოგონა კეთილმა ადამიანებმა შეიფარეს, ეკატერინე კი გაცივდა და სამი თვე ივადმყოფა.

ეკატერინე გაჩეჩილაძის სურვილია, რომ ბავშვთა თავშესაყარი ადგილი უფრო კეთილმოწყობილ ბინაში იყოს, ჰქონდეთ აუცილებელი ინვენტარი, არ აკლდეთ სასწავლო და მხატვრული ლიტერატურა, რომ ბავშვებს, რომლებსაც აქ გულით მოუხარიათ, თვითონაც ხელდამშვენებული და მიმზიდველ ატმოსფეროში დახვდნენ.

და მაშინ ბავშვები აღარ იფიქრებენ ქუჩაში ხეტიალზე, არ მოექცევიან მავნე გავლენის ქვეშ. მაშინ უფრო გაიზრდება ბავშვთა ოთახის სტუმართა რიცხვი, ისინი აქ გაატარებენ თავისუფალ დროს.

პენსიონერი დომინიკა ხანთაძეც მთელი გატაცებით საქმიანობს. მას აბარია ორჯონიკიძის მიკრორაიონის ამხანაგური სასამართლო. პარასკევობით მისი ხელმძღვანელობით სასამართლო იხილავს ბევრ საჭირბოროტო საკითხს. დომინიკა ცდილობს სამართლიანი მსვლელობა მისცეს საქმეს. აქ რიგდებიან ოჯახის წევრები, მეზობლები, მშობლები... აქედან გულდამშვიდებულს და კმაყოფილს უშვებენ ადამიანებს, რომლებსაც თავად ვერ მოუწესრიგებიათ საკუთარი ცხოვრება.

ენთუზიასტი პენსიონერები უანგაროდ და ხალისით განაგრძობენ ხალხის სამსახურს.

**ნანული ბუკია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასამართლოს დარბაზიდან

# რომელია დედა?

მე მინდა, ყველა ბავშვს ჰყავდეს დედა, მინდა პატარას არ უკვდებოდეს მშობელი, არ ეკარგებოდეს მისი ალერსი. მაგრამ ბუნება მკაცრია. მას თავისი კანონები აქვს. ზოგჯერ შვილის დაბადებისას იღუპება დედა, ისინი შორდებიან ერთმანეთს.

ვერაფერი დააშორებს დედა და შვილს სიკვდილის მეტი!

ზოგჯერ კი...

ისინი დაშორდნენ ერთმანეთს ათი დღის შემდეგ, ცოცხალმა დედამ მოიშორა ათი დღის ბავშვი.

როცა ქალი შვილს ელის, როცა გრძნობს სხეულში მის მოძრაობას, როცა ათასნაირ სასიყვარულო სახელებს უწოდებს თავის მომავალ პირმშოს, მას უკვე უყვარს, დაბადებამდე უყვარს იგი.

ერთი პატარა არსება კი გაჩნდა უსიყვარულოდ. დაბადებამდე ქალს არ უხაროდა მისი ქვეყნად მოსვლა. ქალს, რომელიც ცხრა თვე მუცლით ატარებდა ბავშვს, წინასწარ აელო ხელი დედობაზე. მან ბავშვი შობა სხვისთვის მისაცემად.

ქალს შინ ორი შვილი ჰყავს და მესამეს ელის შემთხვევით გაცნობილი მამაკაცისგან. მამაკაცს ჰყავს მეუღლე. ოჯახი უშვილოა. მამაკაცი ხვდება ორი შვილის დედას და თხოვს გააჩინოს ბავშვი მისი ოჯახისთვის. ქალს საჩუქრებით იყოლიებს. იგი სამშობიაროდ მიდის იმ ქალის გვარით, ვინც ბავშვი უნდა იშვილოს.

ათი დღე ახალშობილის გვერდით ოთახში იწვა მშობელი. იგი ძუძუს აწოვებდა და სახეში ვერ უყურებდა მოძულებულ შვილს. ქალი გამოეწერა საავადმყოფოდან და დაბრუნდა შინ მარტო, უკაცო სახლში, სადაც ორი მოზრდილი შვილი ელოდა. მან რძე გაიშრო, ის თავის ფიქრებში ათას გასამართლებელ საბუთს ეძებდა, ზოგავდა თავს ასეთი საქციელისთვის, იმიზეზებდა სამსახურს, ორ ბავშვს და იმსუბუქებდა დანაშაულს საკუთარი სისხლის და ხორცის წინაშე.

მისი დედობა სხვამ იკისრა, ათი დღის ბავშვი ისე მიიღო და შეიყვარა, როგორც ნაშობი. დედობას მონატრებული ქალი ყველა დედაზე უკეთ უვლიდა ახლადმოვლენილ სიცოცხლეს. მას აწვა დიდი საზრუნავი და ამ ზრუნვაში ქალი გაბედნიერდა. ძუძუ არ ჰქონდა, პატარასთვის რომ მოეწოვებინა და მკერდში ითბობდა ბოთლებს, რომლებითაც ბავშვი ხელოვნურ საკვებს იღებდა. ბავშვის გულისთვის ქალმა სამსახური მიატოვა. გაწეული შრომისა და ზრუნვის საპასუხოდ პატარამ დედა დაუძახა.

ოჯახში, სადაც ბავშვი იზრდებოდა, იყო მისი მშობელი მამა. დილით წასული კაცი ღამით ბრუნდებოდა. ბავშვი უყვარდა, მაგრამ განსაკუთრებული ზრუნვა და შრომა მასზე არ დაუხარჯავს. კაცმა გვიან მოსვლას მოუხშირა. მოუხშირა შეხვედრებს იმ ქალთან, რომელმაც ბავშვი გაუჩინა. ერთ მშვენიერ დღეს მან დატოვა ცოლი და განქორწინება მოითხოვა. ის წავიდა ქალთან, რომელმაც ასე ადვილად დათმო დედობა. კაცმა ამ ქალზე იქორწინა.

რამხელა უბედურება დაატყდა თავს ბავშვის აღმზრდელ დედას! მან დაკარგა ქმარი და ბავშვის აღზრდის მთელი სიმძიმე მარტომ იკისრა. ქალმა მთელი ნუგეში ბავშვის აღზრდაში იპოვა. ბავშვი ანათებდა მის დამსხვრეულ ცხოვრებას, აძლევდა ძალას არსებობისთვის. რა იქნებოდა მისი ცხოვრება უბავშვოდ!

ერთ დღეს ქალი საქმეზე წავიდა, ბავშვი კი მოხუც მშობლებს დაუტოვა, მის არ ყოფნაში ყოფილი ქმრის ნათესავი მოვიდა სტუმრად, ბავშვი სასეირნოდ წაიყვანა და აღარ დააბრუნა, მამას მიჰგვარა.

რედაქციებში დადიოდა სახეშეშლილი, მოტირალი ქალი. ის ბავშვის აღმზრდელი დედა იყო და მოითხოვდა შველას, კაცის დასჯას. დიახ, ამ შემთხვევაში დამნაშავე იყო მისი ყოფილი ქმარი, რომელმაც დედობა მოუტანა ქალს, ბავშვი გააზრდევინა და მერე წაართვა.

გატაცებული ბავშვი უცხო ადამიანებში მოხვდა. ის მამის მეტს ვერავის ცნობდა. ქალი, რომელმაც იგი შობა, უცხო იყო მისთვის, უცხო იყვნენ მისი შვილებიც. ბავშვმა მოიწყინა, ტიროდა. ხუთი სული ერთ პატარა ოთახში იძინებდა. ღამით ბავშვი ეძახდა დედას, იმ ქალს, რომელიც აქამდე გვერდით ეწვა და მის სუნთქვას დარაჯობდა. დღისით სევდიანი თვალებით უყურებდა საწოლებს შუა დარჩენილ თავისუფალ იატაკს, მერე დაჯდებოდა ზედ და მანამ იყო გაუნძრევლად, სანამ პატარა ბიჭი ან გოგო ხელს არ ჩასჭიდებდა და გარეთ არ გაიყვანდა. მისი მომვლელები დღისით ეს ბავშვები იყვნენ. ბავშვი კი დედას დაეძებდა. მან დიდი ხნის შემდეგ პირველად გაიცინა, როცა ეზოში მარტო დარჩა და დაინახა აღმზრდელი დედა, გაექანა, მკერდში ჩაეკრა.

თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ არ გაითვალისწინა იმ ქალის მორალური დანაშაული, რომელმაც ათი დღის ბავშვი მოიშორა, არც ის მძიმე საყოფაცხოვრებო და სააღმზრდელო პირობები, რაც ბავშვს ახალ გარემოში შეექმნებოდა. უღირს დედას სასამართლომ ბავშვი დაუმსახურებლად მიაკუთვნა.

საქმე უმაღლეს სასამართლოში გადავიდა. საბოლოოდ წყდებოდა ბავშვის და მისი აღმზრდელის ბედი. ხალხი ფეხზე მდგომი ელოდა განაჩენს. უმაღლესმა სასამართლომ ბავშვი აღმზრდელს მიაკუთვნა.

ეს პატარა გოგონა გაიზრდება. მას, ალბათ, არ მოასვენებს ქალი, რომელმაც შობა და არ გაზარდა. ქმრის შესანარჩუნებლად, ოჯახის განსამტკიცებლად ქალმა შეიძლება სიმშვიდე დაურღვიოს ბავშვს, შეაცოდოს თავი, არაგულწრფელი ცრემლები დაღვაროს, დაბრუნება თხოვოს.

გოგონას სიმშვიდეს კანონი იცავს. იგი გაიზრდება. იმედია, იქნება გონიერი და კეთილშობილი. იმედია შეძლებს გაარჩიოს ავი კარგისაგან. და მაშინ ყველაზე უკეთ თვით გადაწყვეტს, რომელია მისი დედა!

ლია ნინიძე

გარეკანის პირველ გვერდზე — სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ნ. უ უ კ ო ვ ი ს ლითოგრაფია — „ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი“, შესრულებული დიდი ბელადის დაბადების 100 წლისთავისათვის. იგი მხატვარმა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველებს უძღვნა; მეოთხე გვერდზე — თბილისი. ლ ე ნ ი ნ ი ს მ ო ე დ ა ნ ი. ფოტო დ. ი ა კ ო ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონი — 99-98-71 გადაეცა ასაწყობად 22/III-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/IV-70 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 111.700. შეკვ. 674. უე 02032. ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали»
Издательство ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრული უნგრეთი

უნგრეთის დიდი ისტორიის ვრცელი მანძილი ია-ვარდით არ იყო მოფენილი. ეს ისტორია ძალიან გავს ქართველი ერის ისტორიას. ამ საზეიმო დღეებში — ფაშისტი ურდოებისაგან უნგრეთის განთავისუფლების 25 წლისთავზე — გვაგონდება შორეულ წარსულში — მე-13 საუკუნეში თათართა ურდოებისაგან ბუდას დაწვა; მე-16 საუკუნეში — თურქ დამპყრობელთა ბნელი საქმენი. მოსაგონარი ბევრია, მაგრამ ახლო წარსულიდან ყველაზე საშინელია 1944-45 წლებში ჰიტლერელთა ბანდის ნამოქმედარი. ჰიტლერელებმა სისხლით მორწყეს უნგრეთის მიწა-წყალი, დაანგრიეს ქალაქები და სოფლები, ააფეთქეს ხიდები ბუდასა და პეშტს შორის. მამაცმა უნგრელმა ხალხმა თანდათან მოიშუშა ჭრილობა. ახლა დუნაიზე მეტი ხიდია, ვიდრე ეს ომამდე იყო. აღსდგა და განახლდა ძველი კულტურის მქონე ქვეყანა, განახლდა უნგრელი ხალხი, ამაღლდა გონებით, სულიერად უფრო მდიდარი, უფრო კეთილშობილი გახდა. ეს არის ყველაზე არსებითი, დიდი და ძვირფასი, რაც გაკეთდა ამ 25 წლის მანძილზე.

უნგრელი ხალხის დიდ ეროვნულ დღესასწაულზე — ფაშისტი ურდოებისაგან უნგრეთის განთავისუფლების 25 წლისთავზე — სიამოვნებით მოვიგონებთ უნგრელი და ქართველი ხალხის მეგობრობის ღრმა ფესვებს. განსაკუთრებით მოსაგონარია ქართველი და უნგრელი ხალხის საერთო მტრის — თურქების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით იულიუშის მოგზაურობა საქართველოში, ან კიდევ მე-15 საუკუნეში ქართველი ელჩების წვევა უნგრეთში.

ჩვენი ხალხი მუდამ მადლიერების გრძნობით ახსენებს მიხაი იშტვანოვიჩს. მის სახელოსნოში მადიართა ენაზე პირველად დაიბეჭდა რუსთაველის უკვდავი ქმნილება — „ვეფხისტყაოსანი". საქართველოში ბავშვმაც კი იცის უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის სახელი. მისმა დიდებულმა ილუსტრაციებმა შეამკო ჩვენი ეროვნული საუნჯე „ვეფხისტყაოსანი", ცნობილმა კავკასიოლოგმა, მიხაი ზიჩის ბიძაშვილმა ეჟენი ზიჩიმ კი ქართული სურებით, ლარნაკებით, საომარი იარაღებით დაამშვენა უნგრეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი ბუდაპეშტში; აკადემიკოსმა ბელა ვიკარმა პირველმა შეასრულა „ვეფხისტყაოსნის" პოეტური თარგმანი უნგრულად. მოსაგონარი კიდევ ბევრია... ქართველი და უნგრელი ხალხების მეგობრობა და ურთიერთობა განსაკუთრებით განმტკიცდა ჩვენს დროში. ახლა ჩვენ ბევრი მეგობარი გვყავს უნგრეთში ქართველ მწერალთა და მეცნიერთა გულითადი მეგობრები არიან ფოლკლორისტი მარტონ იშტვანოვიჩი, ისტორიკოსი ლაიოშ ტარდი, პოეტი დიერდ რადო და მრავალი სხვა. მარტონ იშტვანოვიჩმა ჩვენს უნივერსიტეტში გაიარა ასპირანტურის კურსი. აქვე, ჩვენს მშობლიურ ენაზე დაიცვა მან დისერტაცია ქართული ზღაპრის საკითხებზე. მანვე თარგმნა უნგრულ ენაზე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის და სხვათა თხზულებანი. ლაიოშ ტარდიმ გააცოცხლა ბევრი მივიწყებული ფურცელი ქართველი და უნგრელი ხალხების მეგობრობის ისტორიიდან. დიერდ რადომ თავის მშობლიურ ენაზე თარგმნა ჩვენი გამოჩენილი პოეტების ლექსები.

ქართველი ქალების მეგობრები არიან უნგრელ ქალთა ასოციაციის თავმჯდომარე ჟუჟა ორტუტაი, ჟურნალისტები ედიტ უიგოვიჩი და ვერა იშტვანოვიჩი. ეს უკანასკნელი თავის ქართველ მეგობრებს ხშირად ქართულად დაწერილი სტრიქონებით მოიკითხავს.

ჩვენს უნივერსიტეტში უნგრელი ახალგაზრდები ეუფლებიან მეცნიერების საფუძვლებს.

ქართველმა მწერლებმა თავიანთ შემოქმედებაში წარმოსახეს უნგრეთი და უნგრელი ხალხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ლეონიძის ბრწყინვალე ლექსების ციკლი. უნგრეთისადმია მიძღვნილი აკ. გეწაძის ნაწარმოები; გრიგოლ აბაშიძემ ქართულად აამეტყველა შანდორ პეტეფი. ქართველი და უნგრელი ხალხების მეგობრობის დემონსტრაცია იყო ქართული კულტურის დეკადა უნგრეთში 1966 წელს და უნგრული კულტურის დღეები საქართველოში 1967 წელს. ჩვენს მეგობრობაზე სათქმელი კიდევ ბევრია, განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ის, რომ ბევრმა ქართველმა ვაჟკაცმა შესწირა თავისი ნათელი სიცოცხლე უნგრელი ხალხის თავისუფლებას. ვისაც უნგრეთში უმოგზაურია, შენიშნავდა სათუთად მოვლილ ძმათა სასაფლაოებს. იქ განისვენებენ უნგრეთის თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაცემული საბჭოთა მეომრები, მათ შორის ქართველები.

გულითადად ვულოცავთ უნგრელ ხალხს, უნგრელ ქალებს დიდ ეროვნულ დღესასწაულს.

ქსენია სიხარულიძე,
საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე.



უნგრეთის განმანთავისუფლებელი საბჭოთა მეომრებისადმი მიძღვნილი ძეგლი ბუდაპეშტში



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76178